

საქართველო-ევროკავშირის
2017-2020 წლების ასოცირების
დღის წესრიგის შესრულება

სამოქალაქო საზოგადოების შეფასება



თებერვალი 2020

ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ ღია საზოგადოების ფონდების ქსელის წევრი ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წელს დაარსდა. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველომ პროგრესს მიაღწია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში და ევროპულ ოჯახში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ტერიტორიული კონფლიქტები, ეკონომიკური კოლაფსი და რუსეთთან ომი გამოიარა, მან მაინც მოახერხა თითქმის შეუმდგარი სახელმწიფოდან დასავლური მისწრაფებების მქონე განვითარებად ქვეყნად ქცევა. დონორების მხრიდან დაფინანსების, პარტნიორობების დამყარების, ტრენინგებისა და ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველების პოტენციალის გამოვლენის მეშვეობით ფონდმა „ღია საზოგადოება-საქართველო“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ პროცესში, რომელიც დღესაც გრძელდება.

ფონდი მხარს უჭერს სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის განვითარებას, სამოქალაქო ფასეულობებს, ხელს უწყობს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას და ზრდის განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე წვდომას. ფონდმა დიდი დახმარება გაუწია ინტეგრაციის ევროპულ და ეროვნულ პროგრამებს და სოციალური თანასწორობის დამყარებას.



წარმოდგენილ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრება, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველო“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

**საქართველო-ევროკავშირის
2017-2020 წლების ასოცირების
დღის წესრიგის შესრულება
სამოქალაქო საზოგადოების შეფასება**

**მოკლევადიანი პრიორიტეტები
(2017 წლის იანვარი - 2018 წლის დეკემბერი)**

**საშუალოვადიანი პრიორიტეტები
(2019 წლის იანვარი - 2019 წლის ოქტომბერი)**

- 06 შესავალი და მოკლე მიმოხილვა
- 08 მეთოდოლოგია და ანგარიშის სტრუქტურის აღწერა
- 09 მართლმსაჯულება
- 27 ანტიკორუფციული პოლიტიკა, საჯარო ადმინისტრაციის რეფორმა და საჯარო სამსახური
- 37 თანასწორი მოკვრობა
- 47 ბავშვთა უფლებების დაცვა
- 59 პროფესიული კავშირების უფლებები და ძირითადი შრომითი სტანდარტები
- 69 გარემო და კლიმატის ცვლილება
- 83 ავტორები

შესავალი და მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ორგანიზაციების: „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, კავშირი „საფარი“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ (PHR), „მწვანე ალტერნატივა“ მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. ეს ორგანიზაციები ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით მუშაობდნენ ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგში განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულებაში მიღწეული პროგრესის გაანალიზების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება 2019 წელს მიღწეულ პროგრესს ეთმობა.

ექსპერტებმა შეაფასეს საქართველოს მთავრობის ძალისხმევა ექვს თემატურ სფეროში. ეს სფეროებია: 1) კანონის უზენაესობა (მათ შორის *მართლმსაჯულებისა და სამართალდღესრულების* სექტორები); 2) *ანტიკორუფციული პოლიტიკა, ადმინისტრაციული რეფორმა და საჯარო სამსახური*; 3) *თანასწორი მოპყრობა*; 4) *ბავშვთა უფლებები* (ოთხივე ასოცირების დღის წესრიგის 2.2 ნაწილის შესაბამისად); 5) *პროფესიული კავშირების უფლებები, ძირითადი შრომითი სტანდარტები და დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები* (ასოცირების დღის წესრიგის 2.2 და 2.6 ნაწილების შესაბამისად); 6) *გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება* (ასოცირების დღის წესრიგის 2.7 ნაწილის შესაბამისად).

მონიტორინგის შედეგებმა არაერთგვაროვანი სურათი გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა პრიორიტეტების მისაღწევად ყველა თემატურ სფეროში, რომელთა მონიტორინგი ჩატარდა, საერთო პროგრესი არათანაბარია. ზოგიერთ სფეროში მთავრობამ მართლაც რეალურ პროგრესს მიაღწია. გასულ წელს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაორმაგებამ ცხადყო, თუ როგორ არის შესაძლებელი საკანონმდებლო ბაზის და ძლიერი მკონტროლებელი ორგანოების მეშვეობით სიტუაციის შეცვლა (მე-3 თავი, თანასწორი მოპყრობა).

ზოგიერთ ფუნდამენტურ სფეროში, სადაც რეფორმას ფართო გეგავლენა ექნებოდა, მიზანმიმართული საქმიანობა არ აღინიშნება.

კორუფციასთან ბრძოლის მხრივ განხორციელებული სხვადასხვა საქმიანობის მიუხედავად (მე-2 თავი), ჯერ კიდევ არ არის მიღებული ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ძალზე საჭირო კანონი. მართლმსაჯულების სექტორში (პირველი თავი) 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცხრიდან შვიდი აქტივობა არ განხორციელებულა ან მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. გარემოს დაცვის სექტორში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, მაგრამ რჩება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, ხოლო მთავრობა აქტიურად აფერხებს ზოგიერთ პროცესს (მე-6 თავი).

ზოგიერთი იმედისმომცემი რეფორმის პროცესი (მაგალითად, შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები (მე-5 თავი)) ქვეყანაში წლის ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა შეაფერხა. ამავე დროს, გამოვლინდა უმოქმედობა ძალზე საჭირო რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით, რომლებზეც ჩვენმა ექსპერტებმა წინა მონიტორინგის დროს გაამახვილეს ყურადღება. კერძოდ, ეს ბავშვთა დაცვის სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხება (მე-4 თავი).

სექტორებში, რომელთა მონიტორინგი განხორციელდა, დაწყებული ანტისიდეკრიმინაციული პოლიტიკით და მართლმსაჯულებით და დამთავრებული კორუფციასთან ბრძოლით, ხელისუფლების ორგანოების მიერ ჩვენი ექსპერტებისთვის მიწოდებული ინფორმაციით, ბევრმა მოხელემ გაიარა პროფესიული გადამზადება და ტრენინგი. ამავე დროს, ზოგიერთ სფეროში არ არის ბოლომდე გარკვეული, იყო თუ არა ყველა განხორციელებული აქტივობა მოფიქრებული და შედეგიანი (მე-5 თავი, შრომითი უფლებები), ეფექტიანი (ქალთა წარმომადგენლობის ხელშემწყობი ზომები - მე-3 თავი, თანასწორი მოპყრობა) ან ასოცირების დღის წესრიგის მიზნებისთვის რელევანტური (კორუფცია, მე-2 თავი).

ასოცირების დღის წესრიგის შესრულებას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ საქართველომ პროგრესს მიაღწიოს საზოგადოების ტრანსფორმაციაში და დაუახლოვდეს ევროკავშირს. ძალზე მნიშვნელოვანია პროგრესის დამოუკიდებელ შეფასებაში სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტთა მონაწილეობაც და ევროკავშირმა და საქართველოს მთავრობამ მხედველობაში უნდა მიიღონ სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებები.

მეთოდოლოგია და ანგარიშის სტრუქტურის აღწერა

ექსპერტებმა შეაფასეს **საშუალოვადიანი** და **მოკლევადიანი** პრიორიტეტების განხორციელება. **მოკლევადიანი** პრიორიტეტები ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ის პრიორიტეტებია, რომლებიც 2018 წლის ბოლომდე უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, თითოეული პრიორიტეტის შემთხვევაში შეფასებულია მისი განხორციელების ხარისხი – განხორციელდა, ნაწილობრივ განხორციელდა, არ განხორციელდა. **საშუალოვადიანი** პრიორიტეტები ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ის პრიორიტეტებია, რომლებიც 2020 წლის ბოლომდე უნდა განხორციელდეს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ აქვს დრო მიმდინარე წლის ბოლომდე, შეფასებულია პროგრესის ხარისხი – პროგრესი, შეზღუდული პროგრესი, პროგრესი არ აღინიშნება. შესაბამის შემთხვევებში მონიტორინგის შედეგად შეფასდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული კონკრეტული ქმედებები საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმაში მითითებული ინდიკატორების მიხედვით. კონკრეტული ქმედების აღწერას თან ერთვის დეტალური ინფორმაცია მისი შესრულება-არ შესრულების შესახებაც.

მართლმსაჯულების სექტორი

მოკლევადიანი პრიორიტეტები

1. სასამართლო სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განვითარება და ეტაპობრივი იმპლემენტაცია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, შეეხება მოსამართლეთა დანიშვნის, დაწინაურებისა და გადამზადების პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესებას, ადამიანის უფლებებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით, აგრეთვე, ადეკვატური რესურსების გამოყოფა შესაბამისი სასამართლო კომპეტენციის უზრუნველყოფისათვის; იუსტიციის უმაღლესო სკოლის დამოუკიდებლობის შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით უფლებამოსილებათა გაზრდით.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2019 წლის 13 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებები შეიტანა და ამგვარად დაასრულა სასამართლო სისტემის რეფორმის მეოთხე ტალღა. ცვლილებები ეხება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებებსა და იუსტიციის უმაღლეს სკოლას.

არ შესრულებულა: მიუხედავად აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებისა, მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის არსებული სისტემა ისევ არ აკმაყოფილებს ობიექტურობის, დასაბუთებულობის, დამსახურების პრინციპებს და გამჭვირვალობის მოთხოვნებს. ის ფაქტი, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ფარული კენჭისყრით არის შესაძლებელი, რომელსაც შეუძლია გადაწონოს კანონით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით კანდიდატის მიღებული შეფასება, პროცესის პოლიტიკურ ბუნებაზე მიუთითებს.¹ ეს

1. სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება, ჩრდილოვანი ანგარიში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2018, გვ. 39. იხ. შემდეგ მისამართზე: https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2018/general/ENG_WEB.pdf

კარგად გამოჩნდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის ბოლო ეტაპზე: ფარული კენჭისყრით შერჩეული ოცი მოსამართლის სია არ დაემთხვა უმაღლესი შეფასების მქონე ოცკაციან სიას, კერძოდ სიაში არ აღმოჩნდა ყველაზე მაღალი ქულების მქონე ხუთი კანდიდატი.² ამას გარდა, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მინიჭებული ქულები და შეფასება არ საბუთდება. ამ პირობებში, ბუნებრივია, იზრდება შეფასებით, მათ შორის ქულებით, მანიპულირების რისკი.³

მოსამართლეთა დაწინაურების წესებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს, თუმცა მოსამართლეთა თანმიმდევრული შეფასების სისტემის არარსებობის პირობებში ვერ კმაყოფილდება ობიექტურობის/მიუკერძოებლობის მოთხოვნები. ამას გარდა, მოსამართლეთა კარიერული წინსვლის კიდევ ერთი საყურადღებო მექანიზმია მოსამართლეთა კონკურსის გარეშე დანიშვნისა და დაწინაურების წესები, რომელთაც კვლავ აკლია სიცხადის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის კრიტერიუმები.⁴ უფრო მეტიც, რეფორმის „მეოთხე ტალღის“ მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეების და მათი მოადგილეების, და საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნის საკითხი კვლავ იუსტიციის საბჭოს ხელშია. ახალი ცვლილება იუსტიციის საბჭოსთვის მხოლოდ კონსულტაციის მიღების ვალდებულებას აწესებს იმ სასამართლოს მოსამართლეთა, რომელშიც უნდა დაინიშნოს თავმჯდომარე, თუმცა მათი ამრის გათვალისწინება არ არის სავალდებულო.⁵ იუსტიციის მსმენელთა სკოლაში ჩარიცხვის კრიტერიუმებისა და პროცედურის ბუნდოვანება კვლავ სახეზეა.⁶

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეორე ანგარიში, ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ივნისი-დეკემბერი 2019, გვ. 7-8, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://www.osce.org/odihr/443494?download=true>
3. სახალხო დამცველის 2019 წლის 11 ნოემბრის განცხადება, იხ. შემდეგ მისამართზე: <http://ombudsman.ge/eng/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-uzenaesi-sasamartlos-mo-samartleobis-kandidatebis-sherchevis-tsesis-arakonstitutsiurad-tsnobas-itkhovs>
4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, 2019, გვ. 27, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://transparency.ge/en/post/monitoring-report-high-council-justice-n7>
5. კოალიციის დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე; 11 ნოემბერი, 2019. იხ. შემდეგ მისამართზე: http://coalition.ge/index.php?article_id=226&clang=1
6. იქვე; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, 2019, გვ. 33, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://transparency.ge/en/post/monitoring-report-high-council-justice-n7>

ამგვარად, 2019 წლის სამოქმედო გეგმის ცხრა აქტივობიდან შვიდი არ შესრულებულა ან მხოლოდ ნაწილობრივ შერუღდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის საბჭომ სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგია მიიღო, მას არ დაუმტკიცებია 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა. თავის მეორე, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში, საბჭო ხშირად მიუთითებდა „რეფორმის მეოთხე ტალღაზე“, როგორც იმის მაჩვენებელზე, რომ გეგმით დასახული აქტივობები სრულდებოდა, თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ დაწყებული პროცესი ვერ ანაცვლებს დეტალურად გაწერილი სამოქმედო გეგმის შექმნის საჭიროებას, როგორც ამას ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი ნორმები ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გადაუდებლად მიიღოს სრულყოფილი სამოქმედო გეგმა.

2. კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეფექტიანობის გაუმჯობესება *inter alia* მისი დამოუკიდებლობისა და ანგარიშგაღებულების უზრუნველყოფით.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა საგრძნობლად გააუმჯობესა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებული წესები. კერძოდ, ცვლილებებში განისაზღვრა საბჭოს დაკომპლექტების უფრო დეტალური წესი, საბჭოს თავმჯდომარის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები. ამასთან, ცვლილებებში მოცემულია „ინტერესთა კონფლიქტის“ უფრო ფართო განმარტება. კანონი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ავალდებულებს, დაასაბუთოს და გამოაქვეყნოს საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის და, აგრეთვე, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში უვადოდ დასანიშნი მოსამართლეების დანიშვნაზე მიღებული გადაწყვეტილებები. კანონი ადგენს იუსტიციის საბჭოს მიერ მისაღები აქტების ორ კატეგორიას, ესენია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, განკარგულება და ნორმატიული აქტი-დადგენილება.⁷

7. ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, 13 დეკემბერი, 2019, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4733708?publication=0#DOCUMENT:;>

არ შესრულებულა: ახალი კანონი არ ითვალისწინებს მკაფიო ნორმებს, რათა ხელი შეუწყოს საბჭოს სხდომების ღიაობას და გამჭვირვალობას, ის მხოლოდ ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებაზე და აუდიოჩანაწერის ხელმისაწვდომობაზე აკეთებს მითითებას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომები ღია უნდა იყოს, მათ შორის საჯარო უნდა იყოს პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეებთან ჩატარებული ინტერვიუები. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ სხდომები ონლაინ გადაცემოდეს, რაც შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ მხარეს, თვალი ადევნოს პროცესს.⁸ ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ მოსამართლეთა რაოდენობა, რომლებიც ადმინისტრაციულ თანამდებობებს იკავებენ, შეზღუდულია და არ უნდა აღემატებოდეს საბჭოს მოსამართლე წევრთა რაოდენობის ნახევარს, მოქმედი კანონი მაინც შეიცავს ნორმებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ადმინისტრაციულ პოზიციებზე მყოფებს, გახდნენ საბჭოს მოსამართლე წევრები და ამავდროულად თანამდებობებიც შეინარჩუნონ.⁹

3. სასამართლოს ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესება მკაფიო და ყოვლისმომცველი დისციპლინარული წესების იმპლემენტაციით, რომლებიც ეფექტიანად სრულდება, ისევე როგორც მოსამართლეთა პროფესიონალიზმისა და დამოუკიდებლობის გარანტირებით.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში მეოთხე ტალღის ფარგლებში შეტანილი ცვლილებები ადგენს დისციპლინური

8. კოალიციის დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 11 ნოემბერი, 2019, იხ. შემდეგ მისამართზე: http://coalition.ge/index.php?article_id=226&clang=1; Similar Recommendation was issued by the Second Report of the OSCE/ODIHR on the Nomination and Appointment of Supreme Court Judges in Georgia, June–December 2019, p.22, available at: <https://www.osce.org/odihr/443494?download=true>

9. სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა, ჩრდილოვანი ანგარიში; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2018, გვ. 80, იხ. შემდეგ მისამართზე: https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2018/general/ENG_WEB.pdf

გადაცდომების ამომწურავ და კონკრეტულ ჩამონათვალს, მაგრამ არ შეიცავს მოსამართლისთვის შეუფერებელ ქმედებას ან ქცევას, როგორც გადაცდომის ერთ-ერთ სახეს და არც სამოსამართლო ეთიკის ნორმებზე აკეთებს მითითებას, რაც სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისკენ წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. კანონი ადგენს მტკიცებულების სტანდარტს დისციპლინური სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზევე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ამას გარდა, საკანონმდებლო ცვლილებების ძალით გაძლიერდა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური გარანტიები. კერძოდ, გადაწყვეტილებას დამოუკიდებელი ინსპექტორის გათავისუფლების შესახებ სჭირდება საბჭოს შემადგენლობის ხმების არანაკლებ 2/3-ისა. კანონით შესაძლებელია ასევე საბჭოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება.

არ შესრულებულა: „მეთხე ტალღის“ ფარგლებში ვერ მოხერხდა მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესების დარეგულირება: მოქმედი კანონმდებლობა საშუალებას აძლევს კოლეგიის ხუთიდან ორ წევრს (ანუ უმცირესობას), მიიღოს ბრალეულად ცნობის და დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება, რაც საფრთხეს უქმნის სადისციპლინო სამართალწარმოების ობიექტურობას.¹⁰

მართალია, გარკვეული გაუმჯობესება შეინიშნება დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის გაძლიერების კუთხით, მაგრამ მისი დანიშვნის პროცედურა მაინც ბუნდოვანია. ინსპექტორის შერჩევის პროცედურა/კრიტერიუმები კანონში გაწერილი არ არის, ის აირჩევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. კანონი არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე გამოქვეყნებას. დასკვნები ხელმიუწვდომელია საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაშიც.¹¹

10. სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება - დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2019, გვ. 15, იხ. შემდეგ მისამართზე: https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Assessment_of_the_Judicial_Reform_1573219739.pdf

11. სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2019, გვ. 13, იხ. შემდეგ მისამართზე: https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Assessment_of_the_Judicial_Reform_1573219739.pdf

4. სასამართლოთა ინსტიტუციონალური სტრუქტურის რაციონალიზაცია, მათ შორის, სადაც ამის აუცილებლობა არსებობს, სპეციალიზებული პანელებისა და პალატების ჩამოყალიბება და დაგროვებულ საქმეთა რაოდენობის შემცირება საერთო სასამართლოების სამოქალაქო დანაყოფებში.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: მოსამართლეთა გადატვირთულობის შესამცირებლად საერთო სასამართლოებში შეიქმნა მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია. ამას გარდა, კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეების მიერ განსახილველი საქმეების არეალი გაფართოვდა და მოიცვა ყველა კატეგორიის სამოქალაქო დავა (გარდა საოჯახო სამართლებრივი, დელიქტით მიყენებული და მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავებისა), თუკი სარჩელის ფასი აღემატება 500,000 ლარს (დაახლ. 160,000 ევრო).¹²

მოსამართლეთა ოპტიმალური რაოდენობის დასადგენად ჩატარებული კვლევის პირველი ეტაპი დასრულდა. მეორე ეტაპი მიზნად ისახავს გონივრული სისტემის შექმნას საქმეთა გადანაწილების შესაფასებლად და ამასთან, მუშავდება საქმის წონის დადგენის პრინციპიც.¹³

არ შესრულებულა: ჯერ არ შემუშავებულა კომერციული/საგადასახადო პალატების შექმნის კონცეფცია და არც საკანონმდებლო წინადადება მომზადებულა. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ დაუმტკიცებია მოსამართლეთა და სასამართლოების აპარატის თანამშრომელთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრისთვის საჭირო მეთოდოლოგია.

12. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/297.

13. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი (5 დეკემბერი, 2019) №12/7/7028-03.

5. სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის ამაღლების მიზნით, საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის განვითარება და საქმეთა მართვის ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესება.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის შემუშავება ამ ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმაა. ის 2017 წლის 31 დეკემბერს ამოქმედდა სასამართლოების მთლიან სისტემაში. საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ქმედუნარიანობა გაუმჯობესდა. ეს დეპარტამენტი მართავს ელექტრონულ სისტემას, თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა ოთხამდე და 2019 წლის 21 იანვარს საბჭომ მისი ხელმძღვანელიც დანიშნა.¹⁴ ამავე პერიოდში საბჭომ შეზღუდა საქმეთა განაწილება მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ორი თვის განმავლობაში და ცვლილებები შეიტანა, აგრეთვე, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმეთა გადანაწილების სისტემაში.

არ შესრულებულა: საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა ვერ უზრუნველყოფს საქმეთა თანასწორ განაწილებას მოსამართლეთა შორის;¹⁵ საბჭოს მიერ ნაწილ-ნაწილ და ხანგამოშვებით მიღებული ცვლილებების გამო, შემთხვევითი განაწილებიდან გამოინაკლისი შემთხვევების სია მკვეთრად გაიზარდა.¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ ვიწრო თემატური/საპროცესო სპეციალიზაციის შექმნა საბჭოს მიერ არის დადგენილი, თავად ვიწრო სპეციალიზაციების მიხედ-

14. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი (5 დეკემბერი, 2019) №12/7/028-03

15. საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2019, გვ. 7, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://www.gdi.ge/uploads/other/0/993.pdf>

16. სასამართლო სისტემის რეფორმის შეფასება: საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა- დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2019, გვ. 9, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://emc.org.ge/en/products/sasamartlo-reformis-shedegebis-shefaseba>

ვით მოსამართლეთა შემადგენლობა სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით ერთპიროვნულად განისაზღვრება, რაც მის მიერ საქმეთა განაწილების პროცესზე გავლენის მოხდენის რეალურ რისკებს წარმოშობს.¹⁷ რაც შეეხება ტექნიკურ მახასიათებლებს, მთავარი გამოწვევა სისტემის ძირითადი მოდულის დაცვის არარსებობას უკავშირდება, რაც საშუალებას აძლევს ტექნიკური დახმარების ჯგუფს, ნებისმიერ დროს შეიტანოს პროგრამაში ცვლილება და, ამგვარად, სამართავი გახადოს საქმეთა განაწილების სისტემა, რასაც სასურველი მოსამართლისთვის საქმის გადაცემა მოჰყვება.¹⁸

6. პროკურატურის რეფორმის გაგრძელება მისი საქმიანობის დამოუკიდებლობის, ნებისმიერი არამართლზომიერი გავლენისგან დაცვის, მეტი გამჭვირვალებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: საქართველოს ახალი კონსტიტუციის თანახმად, პროკურატურა გამოეყო იუსტიციის სამინისტროს და სრულად დამოუკიდებელი უწყება გახდა. მოგვიანებით შეიცვალა ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, რომელშიც დაზუსტდა გენერალური პროკურორის უფლებამოსილებები და კოლეგიური ორგანოს - საპროკურორო საბჭოს - ფუნქციები. განისაზღვრა დისციპლინური ზომები და თანამშრომლებს წარედგინათ ეთიკის კოდექსი კომენტარებთან ერთად. 2019 წლის 28 თებერვალს გენერალურმა პროკურორმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც ჩამოყალიბებულია პროკურორებზე საქმეთა განაწილების გადაწყვეტილებების სახელმძღვანელო ფუნდამენტური პრინციპები, რაც ადგენს საქმეზე პროკურორების დანიშვნის და აცილების კრიტერიუმებს.

არ შესრულებულა: „პროკურატურის შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები უბრალოდ ტექნიკური ხასიათის იყო და საკმარისი

17. იქვე, გვ. 29

18. იქვე, გვ.18-20

არ აღმოჩნდა პროკურატურის რეფორმებისთვის. საპროკურორო საბჭოს შეზღუდული როლი და შემადგენლობა არ შეესაბამება კონსტიტუციით განსაზღვრულ მის ფუნქციას, რაც გენერალური პროკურატურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას წარმოადგენს.¹⁹ იუსტიციის მინისტრი აღარ ერევა გენერალური პროკურორის თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევის საქმეში. თუმცა ფაქტი, რომ გენერალურ პროკურორს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა ირჩევს, ვერ უზრუნველყოფს კანდიდატთა შერჩევის პროცესის დეპოლარიზაციას.²⁰ ამას გარდა, პროკურორთა დანიშვნისა და დაწინაურების მარეგულირებელი წესები ბუნდოვანია და გენერალური პროკურორი ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას ფლობს.²¹

7. სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმის გაგრძელება სასჯელთა ღიბერალიზაციის, კანონმდებლობის მოდერნიზაციის მიზნით და მისი ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა სისხლის სამართლის კოდექსში შესატან საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის პროექტი, რომელიც ცვლის სასჯელის შეფარდებასთან, პრობაციასთან, ჯარიმებთან, სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობასთან, სანქციებთან და დამამ-

19. ევროპული კომისია დემოკრატია სამართლის მეშვეობით, დასკვნა №937 / 2018; 17 დეკემბერი, 2018, პუნქტი 55, იხ. შემდეგ მისამართზე: [https://www.venice.coe.int/web-forms/documents/default.aspx?pdffile=CDI-AD\(2018\)029-e](https://www.venice.coe.int/web-forms/documents/default.aspx?pdffile=CDI-AD(2018)029-e)

20. ერთობლივი მოსაზრება „პროკურატურის შესახებ“ კანონის ცვლილებათა კანონპროექტზე (ევროპული კომისია დემოკრატია სამართლის მეშვეობით, ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი), გვ. 5-9, იხ. შემდეგ მისამართზე: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDI-AD\(2015\)039-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDI-AD(2015)039-e)

21. კორუფციის პრევენცია საკანონმდებლო ორგანოში, სასამართლო ხელისუფლებაში და პროკურატურაში. შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიში (კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO). GrecoRC4(2019), 2 ივლისი, 2019, პუნქტი 62. იხ. შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/fourth-evaluation-round-corruption-prevention-in-respect-of-members-of/168095529a>

ძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებულ მარეგულირებელ წესებს.²²

არ შესრულებულა: პროექტი არ არის წარდგენილი პარლამენტში.

8. საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ ჩარჩოთა შემდგომი გაუმჯობესება მაღალი ხარისხის უფასო სამართლებრივი დახმარების, ისევე როგორც ფასიანი სამართლებრივი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: გაფართოვდა იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით. კერძოდ, არასრულწლოვანი მოწმის გადახდისუნარობის შემთხვევაში, ან თუ ის გამოიკითხება კანონით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულების საქმეებზე, მისთვის ადვოკატი გამოიყოფა.

ანგარიშის პერიოდში უფასო იურიდიული დახმარება გაეწია 394 ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვანს, 937 არასრულწლოვან დაზარალებულს და 94 არასრულწლოვან მოწმეს.

უნდა აღინიშნოს, რომ უფასო იურიდიული დახმარება არ მოიცავს ყველა არასრულწლოვან მოწმეს და ყველა საქმეს, რომლებზეც ისინი შეიძლება გამოიკითხონ.

იურიდიული დახმარების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროფესიული სწავლების კურსი გაიარა სამსახურის 167-მა თანამშრომელმა და 21-მა მოწვეულმა ადვოკატმა. იურიდიული დახმარების სამსახურმა მოამზადა პროექტი, რომელიც აზუსტებს გაწეული იურიდიული დახმარების და სამართლებრივი კონსულტაციის ხარისხის შეფასების წესებს და კრიტერიუმებს, თუმცა იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭოს პროექტი ჯერ არ დაუმტკიცებია.²³

22. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის ეროვნული საბჭოს ანგარიში, იუსტიციის სამინისტრო, იხ. შემდეგ მისამართზე: <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/237>

23. იურიდიული დახმარების სამსახურის წერილი 01900033580, 13 დეკემბერი, 2019.

9. სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანი სასამართლოს, სასამართლოს ხელმისაწვდომობისა და პროცედურული უფლებების უზრუნველყოფის გაგრძელება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, სასამართლოს პრეცედენტული სამართლისა და ევროპის საბჭოს სხვა შესაბამისი კონვენციებით, საქართველო მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად, გამომდინარე საქართველოს ვალდებულებების მიხედვით, შემდეგი პრინციპების სრულად განხორციელების გზით:

- სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულთა პროცესუალური უფლებების გარანტირება;
- დანაშაულის, მათ შორის სიძულვილის დანაშაულის მსხვერპლთათვის, სასამართლოს ხელმისაწვდომობის, დაცვის, მხარდაჭერისა და კომპენსაციის უფლებათა უზრუნველყოფა.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის საბჭო მუშაობს სისხლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტზე, რომლის მიზანია, დაადგინოს მტკიცებულებათა დასაშვებობის წესები, მათ შორის ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები.

არ შესრულებულა: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უსისტემოდ იცვლებოდა და ზოგჯერ ცვლილებები წინააღმდეგობრივად იყო. 2019 წელს ათი წელი შესრულდება, რაც საქართველომ ინკვიზიციური სისხლის სამართლის პროცესი შეცვალა შეჯიბრებითი მოდელით, თუმცა ამ უკანასკნელის გარკვეული მნიშვნელოვანი ელემენტები მაინც დარჩა - ფრაგმენტულად (მაგ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო) ან არსებითად იმდენად შეცვლილი სახით, რომ მოდელის ლოგიკას ეწინააღმდეგება (მაგ. მოწმის დაკითხვის წესები). ამას გარდა, გამოწვევად რჩება მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა, მტკიცებულების მოპოვების წესებში ნაკლოვანებები აღინიშნება, საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა არ ხდება და დაცვის მხარე რიგ დაბრკოლებებს აწყდება.

10. სამართლიანი, ეფექტიანი და აგრეთვე უფრო ფართოდ გამოყენებადი დავების მოგვარების ალტერნატიული მექანიზმების შემოღება.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: საანგარიშო პერიოდში თვრამეტმა აკრედიტებულმა მედიატორმა გაიარა სასწავლო კურსი კოლეგების მენტორორების და დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების საკითხებზე და დაესწრო სემინარს სამუშაო ადგილზე კომუნიკაციის თემაზე. დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების მიზნით თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში და გორის რაიონულ სასამართლოში დაიწყო სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტების განხორციელება. ჯამში თბილისის საქალაქო სასამართლოში 21 საქმე, რუსთავის საქალაქო სასამართლოში 10 საქმე, ხოლო გორის რაიონულ სასამართლოში ერთი საქმე მედიაციით გადაწყდა.²⁴ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ახლახან დაამტკიცა სასამართლოებში მედიაციის მექანიზმის დანერგვისა და განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.²⁵

11. პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში და მათ გარეთ რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიდგომათა იმპლემენტაცია დანაშაულის ხალახლა ჩადენის პრევენციის მიზნით და საჯარო წესრიგსა და უსაფრთხოებას და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას შორის ჯეროვანი ბალანსის შენარჩუნება.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

24. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №12/7/7028-03, 05 დეკემბერი, 2019
 25. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/366, 27 დეკემბერი, 2019, იხ. შემდეგ მისამართზე: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf>

შესრულდა: სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცი-რეაბილიტაციის დეპარტამენტი შეიქმნა. 2019 წლისთვის დეპარტამენტის თანამშრომელთა რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვრა: 40 ფსიქოლოგი და 90 სოციალური მუშაკი.²⁶

დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულები-სა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა (სო-ციალურმა მუშაკებმა, ფსიქოლოგებმა, პრობაციის ოფიცრებმა) გაიარეს სასწავლო კურსი რისკებისა და საჭიროებების შეფასების საკითხებზე. სოციალური მუშაკებისა და პენიტენციური და დანაშაუ-ლის აღკვეთის სისტემების ფსიქოლოგებისთვის ჩატარდა ტრენინგი სამოტივაციო გასაუბრებისა და ჩართულობის შესახებ. ოთხ (მე-5, მე-11, მე-16 და მე-17) პენიტენციურ დაწესებულებაში რისკებისა და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტი ამოქმედდა.

პატიმრობის კოდექსში 2019 წლის 1 ნოემბერს შეტანილი ცვლილე-ბებით მსჯავრდებულთათვის შესაძლებელი გახდა უმაღლესი გა-ნათლების მიღება (სამაგისტრო დონე).²⁷

არ შესრულდა: რისკების შეფასების ახალი პროცედურა არ უზრუნველყოფს სამართლებრივ გარანტიებს მსჯავრდებულთა პი-რისთვის; პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელი პირები ვალდე-ბულნი არ არიან, მსჯავრდებულ პირს მიაწოდონ ინფორმაცია რის-კების შეფასების კრიტერიუმებზე; პროცედურა ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულის უფლებას, რომ მან თავისი პოზიცია წარმოადგი-ნოს.²⁸ პენიტენციურ დაწესებულებებში რეაბილიტაცია-რესოციალი-ზაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს ფრაგმენტული ხასიათი აქვს და არ არის მორგებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ სა-ჭიროებებზე. სასჯელის მოხდის დაგეგმვასაც ფორმალური ხასიათი აქვს.²⁹ არ შექმნილა ახალი პროგრამები თუ ინტერვენციები რისკე-ბის შეფასების 2019 წლის შედეგებზე დაყრდნობით.³⁰

26. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს წერილი № 2/3182, 15 იანვარი, 2020

27. პატიმრობის კოდექსი, მუხლი 115¹

28. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, 2019, გვ. 19; იხ. შემდეგ მისამართზე: <http://ombudsman.ge/res/docs/2019121617001233141.pdf>

29. იქვე, გვ. 35

30. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს წერილი №2/3182, 15 იანვარი, 2020.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

1. კანონმდებლობის მოდერნიზაცია კომერციულ, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სფეროებში ეროვნული სტრატეგიებისა და ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2019 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, საშუალოვადიანი პრიორიტეტებს შორის ერთადერთ აქტივობად მედიაციის შესახებ კანონის პროექტის მომზადება და მიღება იყო გათვალისწინებული. 2019 წლის 18 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო ეს კანონი, რომელიც სრულად 2020 წლის 1 იანვარს ამოქმედდა.³¹

2. სასამართლოს ინკლუზიური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ადეკვატურად დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახურის მეშვეობით.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

განხორციელდა: იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი მის მიერ მოთხოვნილს შეესაბამება და საკმარისია ინკლუზიური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის.³²

31. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“; იხ. შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/en/document/download/4646868/0/en/pdf>

32. იურიდიული დახმარების სამსახურის წერილი LA 01900033580, 13 დეკემბერი, 2019

სამართალდაცვითი უწყებები

მოკლევადიანი პრიორიტეტები

1. სამართალდაცვითი ორგანოების ანგარიშგაღებულებისა და დემოკრატიული ზედამხედველობის გაზრდა. პოლიციის წინააღმდეგ გამოთქმული შენიშვნები დამაჯერებელი პასუხისთვის მოითხოვს პროფესიონალურ, ეფექტიან მექანიზმს. სამართალდაცვითი ორგანოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ გამოთქმული შენიშვნების დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიების განსავითარებლად შემდგომი ზომების მიღების განხილვა. სამართალდაცვითი ორგანოთა ოფიცრებისთვის ყოვლისმომცველი ტრენინგების ჩატარება ეთიკური სტანდარტებისა და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით გარანტირებული უფლებების თაობაზე.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელდა

შესრულდა: 2019 წლის 1 ნოემბერს ამოქმედდა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის“ შესახებ კანონის ის მუხლები, რომლებიც ინსპექტორის საგამოძიებო უფლებამოსილებებს ითვალისწინებს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება სამართალდაცვითი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, კერძოდ, წამებაზე, წამების მუქარაზე, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შეძლახავ მდგომარეობაში პირის ჩაყენებაზე და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე ან გადამეტებაზე, თუ ეს ხდება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.³³ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილების უკეთ გამოყენების მიზნით შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელთა მიხედვით გაუმჯობესდა საგამოძიებო ორგანოს კომუნიკაცია ზედამხედველ პროკურორთან. სამსახურს მიენიჭა ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების უფლებამოსილება.³⁴ ამას გარდა, პირის დაზარალებულად არცნობის შემთხვევაში იმ დანაშაულებში,

33. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“; მუხლი 19.

34. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/2QvJ97y>

რომლებიც სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო ქვემდებარეობაშია, პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს.³⁵

ადამიანის უფლებათა დაცვის და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნა მისასაღებელია. გენერალურ ინსპექციაში განხორციელებული რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამართალდამცავი სისტემის ოფიციალურ პირებზე შიდა კონტროლის მექანიზმები.

საანგარიშო პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს 84-მა თანამშრომელმა გაიარა სასწავლო კურსი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე. ამას გარდა, 308 თანამშრომელი დაესწრო ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ სემინარებს და ტრენინგებს.³⁶ გამოძიებლებს გადაეცათ ხუთი სახელმძღვანელო მითითება/რეკომენდაცია ქალის მიმართ ჩადენილი დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის გამოძიების საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა რამდენიმე ღონისძიება გაატარა ადრეული ქორწინების თავიდან ასაცილებლად. დეპარტამენტმა ჩაატარა, აგრეთვე, სოციალური მედიაკამპანია, ტრენინგები და შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან.

არ შესრულებულა: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატი - გამოიძიოს სამართალდამცველთა მიერ ჩადენილი დანაშაული - კვლავ შეზღუდულია: პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ სამსახურს არ გააჩნია ოფიციალური ან მაღალი საჯარო თანამდებობის პირების, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალური პროკურორის ან სახელმწიფო დაცვის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების უფლებამოსილება. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლება მხოლოდ პროკურატურას აქვს. ეს ფაქტი კი მნიშვნელოვნად ასუსტებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებლობას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ სამსახურმა, სულ მცირე, საპროკურორო ზედამხედველობის გარეშე ჩაატაროს გამოძიება.³⁷

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯერ კიდევ არ შეუქმნია ერთიანი სახელმძღვანელო მითითებები დაკავების პროცედურებზე და მინი-

35. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 56 (მე-5 პუნქტი).

36. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი 4 20 00113633, 16 იანვარი, 2020.

37. დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის კოალიციის განცხადება; 3 ივლისი, 2019, იხ. შემდეგ მისამართზე: http://coalition.ge/index.php?article_id=212&clang=1

მალური სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფაზე, რომლებიც მოიცავდა პოლიციის მიერ დაკავებული პირის უფლებებსა და საჭიროებებთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან პრაქტიკულ და სამართლებრივ ასპექტს. ამგვარი დოკუმენტი კი აუცილებელია არამართლზომიერი მოპყრობის თავიდან ასაცილებლად.³⁸

მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროში გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის არსებობისა, რაც თავისთავად დადებითი ნაბიჯია, დისციპლინური პასუხიმგებლობის არსებული სისტემა კვლავ ნაკლები და ბუნდოვანი რჩება.³⁹

2. პატიმრობის ალტერნატიულ ზომათა ფართო გამოყენება ახალი არასაპატიმრო სასჯელების შემოღებითა და პრობაციის სამსახურის შესაძლებლობათა გაზრდით.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებით გაერთიანდა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო და დანაშაულის პრევენციის ცენტრი და შეიქმნა ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

არ შესრულებულა: საანგარიშო პერიოდში პატიმრობის კოდექსში არ შესულა არსებითი ცვლილებები, რათა პატიმრობის ალტერნატიული ზომების რაოდენობა გაზრდილიყო. სასამართლოებში ისევ დიდია თავისუფლების აღკვეთის სახით დადგენილი განაჩენების წილი.

38. არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 20 დეკემბერი, 2019, გვ. 8. იხ. შემდეგ მისამართზე: <https://emc.org.ge/en/products/arasatanado-mopqrobis-preventsia-politsiis-sakmianobashi>

39. პოლიტიკური ნეიტრალიტეტი პოლიციის სისტემაში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016, გვ. 39 იხ. შემდეგ მისამართზე: <https://emc.org.ge/en/products/kvleva-politikuri-neitraliteti-politsiis-sistemashi>

ანთიპორუფციული კოლიტიკა,
საჭარო აღმინსტრაციის რეფორმა და
საჭარო სამსახური

მოკლევადიანი პრიორიტეტები

1. კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება და შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტიანი იმპლემენტაცია, როგორც არის გაერო-ს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ და კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენცია და მისი დამატებით ოქმი, ისევე როგორც ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) რეკომენდაციები და OECD-აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციები.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2019 წლის სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებდა რაიმე საქმიანობას კონკრეტულად ამ პრიორიტეტთან დაკავშირებით (თუმცა შეინიშნება გარკვეული ზედდება ზემოთ თავში განხილულ პირველ საშუალოვადიან პრიორიტეტთან). მიუხედავად ამისა, საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით. GRECO-ს შეფასების მეოთხე რაუნდის შესაბამისობის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ დამაკმაყოფილებლად შეასრულა ხუთი რეკომენდაცია 16-დან, რვა ნაწილობრივ აქვს განხორციელებული, სამი კი არ შეუსრულებია.⁴⁰ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის მიერ პროგრესის უახლესი შეფასებით, საქართველომ პროგრესს მიაღწია ორგანიზაციის 22 რეკომენდაციიდან 16-ის შესრულებაში.⁴¹

40. GRECO, შეფასების მეოთხე რაუნდი, შესაბამისობის ანგარიში, საქართველო, 2019 წლის მარტი, <https://rm.coe.int/fourth-evaluation-round-corruption-prevention-in-re-spect-of-members-of/168095529a>

41. სტამბოლის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა, მონიტორინგის მეოთხე რაუნდი, საქართველო, უახლესი ანგარიში პროგრესის შესახებ, 2019 წლის მარტი, <https://www.oecd.org/corruption/acn/OECD-ACN-Georgia-Progress-Update-2019-ENG.pdf>

არ შესრულებულა: უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური თანამშროლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის მეთოდოლოგიის მიხედვით, მიიჩნევა, რომ ქვეყანამ რეკომენდაციის შესრულების მხრივ პროგრესს მიაღწია, თუ იგი დგამს ნაბიჯებს რეკომენდაციის თუნდაც ერთი კომპონენტის შესასრულებლად (ჩვეულებრივ, თითოეული რეკომენდაცია რამდენიმე კომპონენტს მოიცავს). აღნიშნული ქვერეკომენდაციების (სულ 81) შესრულების მიმოხილვა ნაკლებად პოზიტიურ სურათს ავლენს, ვინაიდან საქართველომ უმეტეს შემთხვევაში ვერ მიაღწია პროგრესს.

2. მოქალაქეთა უფლების გაუმჯობესება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, როგორც კორუფციის ეფექტიანად პრევენციის ერთ-ერთ საკვანძო ზომაზე.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

არ შესრულებულა: ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი პარლამენტისთვის წინა (2018 წლის) სამოქმედო გეგმის საფუძველზე უნდა ყოფილიყო წარდგენილი. ეს არც 2018 წელს და არც 2020 წლის იანვრისთვის არ გაკეთებულა.

3. მოქმედი სახედამხედველო, აუდიტისა და ფინანსური საგამოძიებო ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება.

ზოგადი შეფასება: შესრულდა

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრში 2019 წელს დაახლოებით 50 შიდა აუდიტორის ტრენინგი ჩატარდა, მათ შორის კორუფციის დადგენისა და აღმოფხვრის საკითხებზე.⁴²

42. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა ფინანსთა სამინისტროსთან, 2019 წლის ნოემბერი-დეკემბერი.

4. პოლიტიკის შემუშავების ინკლუზიური პროცესის გაგრძელება მოქალაქეთა მონაწილეობის, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოებასა და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელი-სუფლებას შორის დიალოგის მეშვეობით.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: მთავრობამ მიიღო დადგენილება „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“. ამ წესის თანახმად, პოლიტიკის ნებისმიერი დოკუმენტის მთავრობისთვის წარდგენამდე საჯარო უწყებებს ამ დოკუმენტთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციების ჩატარება მოეთხოვებათ. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში თან უნდა ერთვოდეს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ დოკუმენტაციას.⁴³

არ შესრულებულა: 2019 წლის სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებდა რაიმე საქმიანობას ამ პრიორიტეტთან დაკავშირებით. წინა (2018 წლის) სამოქმედო გეგმაში ჩართული იყო ერთი აქტივობა (2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადება, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია პოტენციურ ინვესტირებაზე ისეთ სფეროებში, როგორებიც არის ინოვაცია და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის დახმარების გაწევა), რომელიც შესრულდა (პროგრამა დამტკიცებულია და განთავსებულია ინტერნეტში),⁴⁴ თუმცა ასოცირების დღის წესრიგის მიზანთან მისი რელევანტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

5. დარგობრივ კომიტეტთა უფლებამოსილების გაუმჯობესებით პარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილებათა გაძლიერება.

43. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა მთავრობის ადმინისტრაციასთან, 2020 წლის იანვარი.
 44. საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესრულება, სამოქალაქო საზოგადოების შეფასება, 2018 წლის დეკემბერი, გვ. 20.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

ნაწილობრივ შესრულდა: 2019 წლის სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებდა რაიმე საქმიანობას ამ პრიორიტეტთან დაკავშირებით. თუმცა 2019 წლის მარტში პარლამენტმა მიიღო ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების საკუთარი სამოქმედო გეგმა.⁴⁵ 2020 წლის იანვრისთვის არ არსებობს პარლამენტის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება/ანგარიში.

6. საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის გეგმის იმპლემენტაციის გაგრძელება და აღნიშნული გეგმის და ძირითადი სტრატეგიების კოორდინაციის, ზედამხედველობისა და ანგარიშგების გაძლიერება პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ დონეებზე.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2019 წელს მთავრობამ მიიღო საჯარო მმართველობის რეფორმის მესამე სამოქმედო გეგმა, რომელიც არ შედიოდა 2019 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში მოცემულია რაოდენობრივი/თვისებრივი საბაზისო და სამიზნე სიდიდეები პროგრესის გასაზომად.⁴⁶

არ შესრულებულა: 2019 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყო ამ პრიორიტეტთან დაკავშირებული შემდეგი აქტივობა: საჯარო სექტორის ელექტრონული სერვისების მისაწვდომობის უზრუნველყოფა ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის მეშვეობით (my.gov.ge). ამ სფეროში პროგრესი იქნა მიღწეული – ამჟამად პორტალი დაახლოებით 455 სხვადასხვა სერვისს უწევს

45. პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება №240/7, 2019 წლის 19 მარტი.

46. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა მთავრობის ადმინისტრაციასთან, 2020 წლის იანვარი.

მოქალაქეებს.⁴⁷ თუმცა ასოცირების დღის წესრიგის შესაბამის პრიორიტეტთან ამ აქტივობის რელევანტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

7. საჯარო სამსახურის ახალი სამართლებრივი ჩარჩოს იმ-პლემენტაცია უფრო პროფესიონალური და დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: საჯარო სამსახურის ბიურომ 2019 წლის სამოქმედო გეგმის საფუძველზე რამდენიმე აქტივობა შეასრულა:

- მომზადდა კვლევა, რომელიც იმგვარად იყო შედგენილი, რომ გაეზომა საჯარო მოხელეთა ცოდნა საჯარო სამსახურის რეფორმის შესახებ. კითხვარი დაურიგდა 10,601 პროფესიონალ საჯარო მოხელეს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დაწესებულებებიდან. საბოლოოდ გამოკითხვაში 816-მა საჯარო მოხელემ მიიღო მონაწილეობა.
- მომზადდა და საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა ექვსი ვიდეო შეფასების სისტემასთან დაკავშირებით.
- შემუშავდა საჯარო სამსახურში ხელმძღვანელობისა და მართვის შესახებ სახელმძღვანელოს წინასწარი ვერსია.
- შეიქმნა პირველი ელექტრონული სასწავლო კურსი ეთიკაში და კურსის შინაარსთან დაკავშირებით მომზადდა ტექსტური მასალები, საინფორმაციო ვიდეოები და კომიქსები.
- 1,530-ზე მეტი პროფესიონალი საჯარო მოხელისთვის დაიგეგმა პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამები (სამინისტროების მიერ წარმოდგენილი პროფესიული განვითარების გეგმების საფუძველზე) და 296-მა პროფესიონალმა საჯარო მოხელემ უკვე გაიარა საბაზისო პროგრამა.
- გარდა ამისა, დაიგეგმა პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამები 5,190-ზე მეტი პროფესიონალი საჯარო მოხე-

47. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა იუსტიციის სამინისტროსთან, 2019 წლის ნოემბერი-დეკემბერი.

ლისთვის და 1,589 პროფესიონალმა საჯარო მოხელემ უკვე გაიარა დამატებითი პროგრამა.

- ცენტრალური ხელისუფლების 77 და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების 76 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სიახლეებთან და საჯარო სამსახურში ეთიკასთან დაკავშირებით.
- ნმ პროფესიონალ საჯარო მოხელეს ჩაუტარდა ოთხი ტრენინგი საჯარო სამსახურში ხელმძღვანელობისა და მართვის საკითხებში.⁴⁸

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

1. ანტიკორუფციული ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ეფექტიანი იმპლემენტაციის გაგრძელება კორუფციის, განსაკუთრებით კი კომპლექსური კორუფციის პრევენციის, გამომაჟღარავებისა და გადაჭრის მიზნით.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2019 წლის ივლისში ანტიკორუფციულმა საბჭომ დაამტკიცა განახლებული ანტიკორუფციული ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2019-2020 წლებისათვის, ხოლო ოქტომბერში ეს დოკუმენტები მთავრობის დადგენილებით ოფიციალურად იქნა მიღებული. ანტიკორუფციულმა საბჭოს სამდივნომ ასევე მოამზადა სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიში 2019 წლის პირველი ორი კვარტლისათვის და 2019 წლის ნოემბერში საბჭოს სამუშაო ჯგუფს წარუდგინა. ამას გარდა, სამდივნომ 2019 წელს მოამზადა კორუფციის რისკების შეფასების მეთოდოლოგია საქართველოს საჯარო დაწესებულებებისათვის.⁴⁹

48. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა საჯარო სამსახურის ბიუროსთან, 2020 წლის იანვარი.
 49. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა იუსტიციის სამინისტროსთან, 2019 წლის ნოემბერი-დეკემბერი.

საჯარო სამსახურის ბიურომ გააგრძელა საჯარო მოსამსახურეთა მიერ წარდგენილი ქონების დეკლარაციების შემოწმების პროცესი. 2019 წელს შესამოწმებლად 607 დეკლარაცია შეირჩა: დეკლარაციების მონიტორინგის ელექტრონულმა სისტემამ შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე 310 დეკლარაცია შეარჩია, ხოლო 297 დეკლარაცია შეარჩია სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები შედიოდნენ. სულ განხილული იქნა 596 დეკლარაცია, აქედან 237 პოზიტიურად შეფასდა, 254 შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეს ჯარიმა დაეკისრა, ხოლო 75-ს გაფრთხილება მიეცა. შეწყდა 27 დეკლარაციის განხილვის პროცესი, ერთი დეკლარაცია პროკურატურაში გაიგზავნა შემდგომი მოკვლევის მიზნით, ხოლო ორი დეკლარაციის შემოწმება სასამართლოს მიერ იქნა შეჩერებული.⁵⁰

2. კორუფციის საქმეების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფა და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისათვის ეფექტიანი სისტემის შექმნა.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა 2019 წელს მონაწილეობა მიიღეს 15 საერთაშორისო ღონისძიებაში, რომლებიც კორუფციასთან ბრძოლას ეხებოდა; გაფორმდა, ასევე, ხუთი შეთანხმება უცხოეთის ქვეყნების მთავრობებთან ინფორმაციის გაზიარების შესახებ. ამას გარდა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებზე ტრენინგის რვა პროგრამაში მიიღეს მონაწილეობა.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2019 წლის ნოემბრისთვის სტაჟიორთა ორმა ჯგუფმა (სულ 38-მა ადამიანმა) გაიარა ტრენინგი პროფესიული ეთიკისა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხებში და კიდევ ერთი ტრენინგი წლის ბოლოსთვის იყო დაგეგ-

50. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა საჯარო სამსახურის ბიუროსთან, 2020 წლის იანვარი.

მილი. 38 სტაჟიორთან ერთად 120-მა პროკურორმა და გამომძიებელმა გაიარა ტრენინგის 15 მეცადინეობა კორუფციის ეფექტიანი გამომძიების თემაზე.⁵¹

3. საჯარო ადმინისტრირების რეფორმის გეგმისა და ძირითადი სტრატეგიების განახლება, საჯარო ადმინისტრირების პრინციპების შესაბამისად.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2019 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში არ არის მოხსენიებული აღნიშნული საშუალოვადიანი პრიორიტეტი. თუმცა მთავრობამ 2019 წელს უკვე დაამტკიცა საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020 წლებისათვის, რაც შეიძლება ამ რეფორმის განხორციელების გზაზე პროგრესად იქნეს მიჩნეული.⁵²

4. ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ეფექტური, გამჭვირვალე საჯარო ადმინისტრირების განვითარება და ხარისხიანი და პროფესიონალური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება.

ზოგადი შეფასება: არ არის გათვალისწინებული.

2019 წლის სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებდა რაიმე საქმიანობას ამ პრიორიტეტთან დაკავშირებით. თუმცა ნაწილობრივ ხდება მისი ზედდება ქვემოთ, შესაბამის ქვეთავში განხილულ მე-7 მოკლევადიან პრიორიტეტთან და შესაბამის აქტივობებთან.

5. ადგილობრივ დონეზე მმართველობისა და საჯარო ადმინისტრირების რეფორმის გაძლიერება, ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

ზოგადი შეფასება: პროგრესი არ არის დაფიქსირებული*

51. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიმოწერა გენერალურ პროკურატურასთან, 2019 წლის ნოემბერი-დეკემბერი.
 52. საქართველოს მთავრობის დადგენილება №274, 2019 წლის 10 ივნისი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4586360?publication=0>

2019 წლის სამოქმედო გეგმა ამ პრიორიტეტთან დაკავშირებით ორ აქტივობას ითვალისწინებდა:

- იუსტიციის სახლში სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების, სერვისების გადმოტანა/ დანერგვა, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, არსებული სერვისების პროცედურების გადახედვა, ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა;
- იუსტიციის სახლის პროექტების შესახებ ცნობადობის ამაღლება ბეჭდურ და სოციალურ მედიაში/ტელევიზიაში საინფორმაციო და საიმჯო მასალის განახლება/გამოქვეყნების გზით.

* 2020 წლის 13 იანვრისთვის იუსტიციის სახლს არ მოუწოდებია ინფორმაცია აღნიშნული საქმიანობის განხორციელების შესახებ.

მოკლევადიანი პრიორიტეტები

1. გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება და სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა, ისევე როგორც უმცირესობის წარმომადგენელთა თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა, მათი რელიგიის ან რწმენის, ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობის, რასის, სქესის, ენის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, შესაძლებლობის ან სხვა გარემოების მიუხედავად.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

არ შესრულებულა: 2017-2018 წლებში არაფერი გაკეთებულა ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის. 2018 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა კენჭი უყარა სავალდებულო გენდერულ კვოტებს და კიდევ ერთხელ არ მიიღო კანონპროექტი. ქალები საქართველოს პარლამენტში დღეს 15%-ს შეადგენენ.⁵³ არ გადადგმულა აქტიური ნაბიჯები ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის. ქალთა უმუშევრობის არაპროპორციულად მაღალი მაჩვენებელი და ეკონომიკური პასიურობა (42%), შრომის ანაზღაურებაში 36%-იანი გენდერული განსხვავება⁵⁴ და შრომის ბაზარზე უწყვეტი ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაცია, როდესაც ქალები კონცენტრირებულნი არიან დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე, საქართველოში ქალების წინაშე მდგომ მწვავე პრობლემებს ასახავს.⁵⁵ მიუხედავად ქალებსა და მამაკაცებს შორის საქართველოში არსებული აშკარა ეკონომიკური უთანასწორობისა, მთავრობის სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში ქალები იშ-

53. იხ. შემდეგ მისამართზე: <http://www.parliament.ge/en/parlamentarebi/women/qalebi-parlamentshi-23>

54. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. დასაქმებულთა თვიური ანაზღაურება სქესის მიხედვით. 2017.

55. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში: არსებული პოლიტიკისა და ინიციატივების ანალიზი, კავშირი „საფარი“, 2017, გვ. 21, იხ. შემდეგ მისამართზე: <http://sapari.ge/wp-content/uploads/2017/12/woman-economic-eng-www.pdf>

ვიათად თუ მოიხსენიებიან.⁵⁶ 2017-2018 წლებში სახელმწიფომ ვერ ჩამოაყალიბა ხედვა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასთან დაკავშირებით და არც შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებში შეუტანია ცვლილებები, რათა ეფექტიანი სტრატეგიები და პრაქტიკა გაეთვალისწინებინა.

ღვბტქი ადამიანები საქართველოში მათი უფლებებისა და თავისუფლებების სხვადასხვა სისტემურ დარღვევას განიცდიან. ძალზე მაღალია სტიგმა და დისკრიმინაციული დამოკიდებულება თემის წევრების მიმართ, მათ შორის პოლიტიკოსების, პოლიციის და სამედიცინო პერსონალის მხრიდან.⁵⁷

გამოწვევად რჩება გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება. 2017 წელს ღვბტქი თემის წევრებს დროისა და სივრცის შეზღუდვის პირობებში შესაძლებლობა მიეცათ, გაემართათ ღონისძიება ჰომოფობიის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, 2018 წელს კი ღვბტქი ორგანიზაციები იძულებულნი გახდნენ, უარი ეთქვათ აქციის გამართვაზე, რადგან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო უსაფრთხო გარემო აზრის თავისუფალი გამოხატვის და შეკრების უფლებებით სარგებლობისათვის.⁵⁸

ტრანსგენდერი ადამიანებისთვის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა სქესის იურიდიულად აღიარება. ისინი იძულებულნი არიან, გაიარონ სქესის შეცვლის ოპერაცია, რათა შეცვალონ სქესის მაჩვენებელი პირადობის დამადასტურებელ საბუთებში და დაბადების მოწმობაში, ასევე გაიარონ გარდაუვალი სტერილიზაცია, სავალდებულო ჰორმონალური მკურნალობა და სხვადასხვა ოპერაცია.⁵⁹ მიუხედავად იმისა, რომ ღვბტქი თემი ღრმა სისტემური პრობლე-

56. პატარაია, „ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტრატეგიის საჭიროება“, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, კავშირი „საფარი“, 2018, იხ. შემდეგ მისამართზე: http://www.osgf.ge/files/2018/Publications/Angarishi_A4_Women_ENG.pdf

57. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტისთვის წარდგენილი დოკუმენტი, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2018, იხ. შემდეგ მისამართზე: https://women.ge/data/docs/publications/WISG_Submission_INDEPEN-DENT-EXPERT_2018.pdf

58. იხ. შემდეგ მისამართზე: <https://dfwatch.net/gay-rights-rally-canceled-tbilisi-following-pressure-far-right-groups-50384>

59. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ქ-ნი თეა წულუკიანის განცხადება, 11.06.2018, იხ. შემდეგ მისამართზე: <http://liberali.ge/news/view/37592/tsulukiani-reforma-romeli-its-ar-gavatare-aris-transgenderi-adamianebistvis-sqesis-aghiaeba>

მების წინაშე დგას, სახელმწიფოს არ შეუტანია სექსუალურ ორიენტაციასთან, გენდერულ იდენტობასა და გამოხატვასთან და სქესის მახასიათებლებთან დაკავშირებული საკითხები ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმებში.⁶⁰

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომლის წინაშე საქართველოში რელიგიური უმცირესობები დგანან, არის ის, რომ რელიგიურ უმცირესობათა ორგანიზაციებს უარს ეუბნებიან მშენებლობის ნებართვებზე, რომლებიც მათ ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა მისცენ. ამ დისკრიმინაციულ პრაქტიკას სამოქალაქო საზოგადოება რელიგიურ უმცირესობათა მიმართ უფრო ფართო დისკრიმინაციული და თვითნებური სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად აფასებს.⁶¹

უკვე მრავალი წელია, საქართველოში ეთნიკური უმცირესობებისთვის უდიდესი გამოწვევაა სახელმწიფო ენის არცოდნა. არსებული პროგრამები და სახელმძღვანელოები არ არის საკმარისი ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ენის ბარიერი ხელს უშლის აზერბაიჯანული და სომხური თემების სოციალურ ინტეგრაციას საქართველოში.⁶² ბოლო ორი წლის განმავლობაში მთავრობის მიერ არ შექმნილა რაიმე ახალი პროგრამა ან პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობდა განათლებაზე ინკლუზიურ წვდომას ამ თემებისათვის.

2017-2018 წლების პერიოდში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებით. საქართველოს ჯერ კიდევ არ მოუხდენია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება. ფუნდამენტური გა-

60. თანასწორობის მოძრაობა, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და ILGA-Europe, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტისთვის წარდგენილი დოკუმენტი, 2018, იხ. შემდეგ მისამართზე: <http://www.equality.ge/en/submission-un-independent-expert-protection-violence-discrimination-based-sogy-victor-madrigal-ahead-visit-georgia/>

61. რელიგიურ თავისუფლებათა შეზღუდვისა და დისკრიმინაციის შემოხვევათა მიმოხილვა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Overview-of-Cases-on-Cestriction-of-Religious-Freedoms-and-Discrimination-in-Georgia.pdf>

62. საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მდგომარეობა, 2017, გვ. 171-178. იხ. შემდეგ მისამართზე: <https://sites.google.com/view/geombudsman2/reports/parliamentary-reports>

მოწვევა საქართველოს შრომის ბაზარზე, განათლების სისტემაში და ზოგადად სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობის დაბალი დონე.⁶³

2. გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის იმპლემენტაციის გაძლიერებისთვის დამატებითი ზომების მიღება, მათ შორის საკითხთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლება, როგორც ზოგადად მოსახლეობაში, ისე სპეციფიურ პროფესიულ ჯგუფებში, როგორცაა პოლიცია და სოფლებისა და უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობა. მსხვერპლთათვის საკონსულტაციო მომსახურებებსა და თავშესაფრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2017 წლის მაისში საქართველომ მოახდინა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა ქვეყნის კანონმდებლობაში, რის შედეგადაც ქალთა დაცვა ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 2018 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს გენდერული ნიშნით ძალადობის, ოჯახში ძალადობის და სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას. შედეგად, გამოძიებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2018 წელს ოჯახში ჩადენილი დანაშაულისთვის ბრალი წაყენებული იქნა 3,005 საქმეში; ეს რიცხვი ორჯერ მეტია 2017 წელს ბრალის წაყენების შემთხვევათა საერთო რაოდენ-

63. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები, ბავშვთა უფლებები, გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR), „საფარი“, 2018. იხ. შემდეგ მისამართზე: https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Raport_1537452439.pdf

ნობაზე, რომელიც 1,554-ის ტოლი იყო.⁶⁴ შემუშავდა რისკების შეფასების ინსტრუმენტი და შემაკავებელი ორდერების განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი და 2018 წლის ივლისში მოხდა მისი საპილოტე გამოცდა.⁶⁵

ამას გარდა, 2017-2018 წლებში გაეროს ქალთა ორგანიზაციის დახმარებით გორში, ქუთაისში, მარნეულსა და ოზურგეთში გაიხსნა ოთხი ახალი კრიზისული ცენტრი გენდერული ნიშნით ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის. 2017 წელს, გაეროს მოსახლეობის ფონდის დახმარებით, მიღებული იქნა ახალი სახელმძღვანელო მითითებები ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის იდენტიფიცირების შესახებ, ასევე მოპყრობისა და მიმართვიანობის პრინციპები.⁶⁶

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

1. ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება ისეთ სფეროებში, როგორცაა: ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესები, დედობის უფლების დაცვის წესები, მშობლისა და პროფესიული ვალდებულებების შეთავსების წესები, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2019 წლის 19 თებერვალს საქართველომ მიიღო კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“.⁶⁷ ახალი კანონი შეესაბამება ევროკავშირის 89/391/EEC დირექტივას და აყალიბებს ძირითად პრინ-

64. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, იხ. შემდეგ მისამართზე: https://info.police.ge/page?id=115&fbclid=IwAR39sf-w_XtmcgwywY47JUn6njuP-w49Mggjx7TUTNIVszJirEdoktyPrY

65. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წერილი №MIA 9 18 02486753, თარიღი: 11.10.2018.

66. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური წერილი №01/7079-ს, თარიღი: 08.10.2018.

67. საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, 2019, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4486188?publication=0>

ციპებს, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

არ შესრულებულა: 2019 წელს საქართველოს კანონმდებლობაში არ შეტანილა რაიმე ცვლილება კანონმდებლობის დაახლოების მიზნით დედობის დაცვის და მშობლისა და პროფესიული მოვალეობების შეთავსების საკითხებზე ევროკავშირის დირექტივებთან. საქართველოს შრომის კოდექსში არის გარკვეული ზოგადი გარანტიები, მაგრამ საჭიროა კოდექსის შემდგომი გაუმჯობესება, რათა იგი დაუახლოვდეს საბჭოს 92/85/EEC დირექტივას უსაფრთხოების წესებისა და დედობის დაცვის შესახებ.⁶⁸ საჭიროა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის სტანდარტებთან, რომლებიც ეხება სავალდებულო დეკრეტულ შვებულებას და სამუშაო პირობების მორგებას, ასევე მშობლისა და პროფესიული მოვალეობების შეთავსების წესებს.

2. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების სფეროებში ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად აქტიური ნაბიჯების გადადგმა.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: გასული წლის განმავლობაში გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა ხელისუფლების აღმასრულებელ შტოში. 2019 წელს 11 მინისტრიდან 5 ქალი იყო, რის შედეგადაც ქალთა პროპორციული ოდენობა საქართველოს მთავრობაში 45%-მდე

68. ბ. პატარაია, „ორსული, ახალნამშობიარები და მეძუძური ქალების და მშობლების უფლებათა დაცვა – საქართველოს დავიწყებული ვალდებულებები“, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, 2016, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://osgf.ge/en/publication/maternity-and-parenting-georgias-forgotten-obligations/>

გაიზარდა.⁶⁹ 2018 წლიდან საქართველოს ქალი პრეზიდენტი ჰყავს.

არ შესრულებულა: ამჟამად პარლამენტის წევრთა მხოლოდ 16%-ია ქალი. ადგილობრივ მუნიციპალურ დონეზე მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრების მხოლოდ 8%-ია ქალი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მხოლოდ 20%-ია არჩეული პროპორციული სისტემით. ხუთი თვითმმართველი ქალაქიდან არც ერთს არ ჰყავს ქალი მერი. ადგილობრივ თვითმმართველ მუნიციპალიტეტში მერად მხოლოდ 1.85%, ანუ ერთი ქალია არჩეული.⁷⁰

2018 წელს პარლამენტის სპიკერმა ირაკლი კობახიძემ, რომელიც მმართველ პარტიას - „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს, განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც წინა კანონპროექტი პარლამენტმა არ მიიღო, ინიცირებული იქნება ახალი კანონპროექტი სავალდებულო გენდერული კვოტების შესახებ.⁷¹ თუმცა „ქართული ოცნების“ მიერ არც 2018 და არც 2019 წელს ახალი კანონპროექტის ინიცირება არ მომხდარა.

ამჟამად პოლიტიკური პარტია სახელმწიფო ბიუჯეტიდან 30%-იან დანამატს იღებს, თუ „პარტიული სიის ყოველ ათეულში ერთიმეორისგან განსხვავებული სქესი, სულ მცირე, 30%-ით არის წარმოდგენილი“ (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში - მთელ პარტიულ სიაში).⁷² 2019 წლის სექტემბერში „ქართულმა ოცნებამ“ განაცხადა, რომ იგი გეგმავს პარტიების დაფინანსების წესების შეცვლას და პოლიტიკური პარტიებისთვის მოთხოვნას, რომ ბიუჯეტიდან 30%-იანი ფინანსური დანამატის მისაღებად უზრუნველყონ, რომ პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი განსხვავებული სქესის კანდიდატი მაინც ჰყავდეთ. ადგილობრივ საარჩევნო და ქალთა ორგანიზაციებს აღნიშნული ფინანსური

69. საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, იხ. შემდეგ მისამართზე: http://gov.ge/index.php?lang_id=GE0&sec_id=27

70. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, იხ. შემდეგ მისამართზე: <http://cesko.ge/statistic/>

71. იხ. შემდეგ მისამართზე: <http://oc-media.org/georgian-parliament-rejects-gender-quota-bill/>

72. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მუხლი 30 (7), იხ. შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324>

რეგულაციები არ მიაჩნიათ ეფექტიანად.⁷³

3. ადამიანის უფლებათა და ანტიდისკრიმინაციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება სასამართლო, სამართალდამცავ და ადმინისტრაციის სისტემებში.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2019 წელს 32-მა პროკურორმა გაიარა სპეციალიზებული კურსი სიძულვილის დანაშაულის საკითხებში, რომელიც 2018 წელს მომზადდა. 2019 წლის 6 თებერვალს ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით პროკურორებისთვის გაიმართა კონფერენცია სიძულვილის დანაშაულის გამოძიების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. კონფერენციას უცხოელი ექსპერტები უძღვებოდნენ. 2019 წელს გენერალური პროკურატურის 197-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა კვალიფიკაციის ამაღლების 18 სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორის 4 სასწავლო ვიზიტში სიძულვილის დანაშაულისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე.⁷⁴

2019 წელს ტრენინგები სიძულვილის დანაშაულის, სიძულვილის ენის და დისკრიმინაციის ნიშნით დანაშაულის საკითხებში 126-მა პოლიციელმა გაიარა. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისთან (ODHIR) თანამშრომლობით შემუშავდა ტრენინგის მოდული სიძულვილის დანაშაულებთან დაკავშირებით, ხოლო ევროპის საბჭოს დახმარებით მომზადდა ტრენინგის მოდული ლგბტ პირების მიმართ ჩადენილი სიძულვილის დანაშაულების საკითხებზე და ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი. ტრენინგის ზემოხსენებული მოდულები ჩართული იქნა პოლიციის აკადემიის სასწავლო მოდულებში. ამჟამად შემუშავების პროცესშია კიდევ ერთი

73. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის განცხადება, 2019, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://gyla.ge/ge/post/finansuri-tsamakhalisebeli-zoma-ver-uzrunvely-ofs-qalta-politikashi-monatsileobis-gazrdas#sthash.7sVW6mfrS.dpbs>

74. წერილის ოფიციალური ნომერი: 13/79265 საქართველოს გენერალური პროკურატურიდან, 8 ნოემბერი, 2019.

ტრენინგის მოდული რელიგიური კუთვნილების საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების თემაზე. დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია კურსში სახელწოდებით „ადამიანის უფლებები და პოლიცია“, რომელიც პოლიციის აკადემიაში ისწავლება. 2019 წელს აღნიშნულ კურსს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა უწყების 738 თანამშრომელი დაესწრო.⁷⁵

2019 წელს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ მოსამართლეებისათვის შემდეგი ტრენინგები ჩაატარა: სიძულვილის დანაშაულების საკითხებზე - ტრენინგს 7 მოსამართლე და სასამართლოს 5 სხვა თანამშრომელი დაესწრო; შრომის სტანდარტებზე - 17 მოსამართლე და სასამართლოს 20 სხვა თანამშრომელი დაესწრო; ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობაზე - ტრენინგს 14 მოსამართლე და სასამართლოს 45 სხვა თანამშრომელი დაესწრო; გენდერულ საკითხებზე - დაესწრო 8 მოსამართლე. ამას გარდა, ჩატარდა ერთი კონფერენცია და ორი სამუშაო შეხვედრა შრომით უფლებებსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებზე.

75. წერილის ოფიციალური ნომერი: MIA 51902972008 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, 6 ნოემბერი, 2019.

ბავშვთა უფლებების დაცვა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

1. სახალხო დამცველის როლის გაძლიერება და მისი შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა, ბავშვთა საკითხებზე მუშაობისა და *inter alia* შესაბამის ინსტიტუტებში არსებული სიტუაციის მონიტორინგის გაგრძელების მიზნით, მათ შორის დღის ცენტრებში;

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: მონიტორინგის ჯგუფისთვის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,⁷⁶ სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წელს, ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისად, მონიტორინგის შემდეგი სამუშაო ჩაატარა:

- ა) ბავშვთა პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგი; ბ) მცირე საოჯახო ტიპის სახლების, ბავშვთა მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის პროგრამების მონიტორინგი; გ) რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფ ბავშვთა პანსიონურ დაწესებულებებზე ზედამხედველობა; დ) სკოლამდელი განათლებისა და საბავშვო ბაღების მონიტორინგი; ე) დევნილთა თემებში ბავშვთა უფლებების მხრივ არსებული სიტუაციის მონიტორინგი; ვ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილ დღის ცენტრებზე ზედამხედველობა; ზ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მონიტორინგი.

მონიტორინგის ზოგიერთი ანგარიში ამჟამად მომზადების პროცესშია და სავარაუდოდ 2020 წლის მარტში საქართველოს სახალხო დამცველის წლიური საპარლამენტო ანგარიშის ფორმატში გამოქვეყნდება. მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით, საქართველოს სახალხო დამცველმა მნიშვნელოვნად გააფართოვა საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის მონიტორინგის მასშტაბი, რაც აშკარა

76. საქართველოს სახალხო დამცველის წერილი №23/13271, 2019 წლის 10 დეკემბერი.

პროგრესია და პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს. ამჟამად გვარდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგის წინა ანგარიშებში წამოჭრილი საკითხები იმ სახიფათო პირობებთან დაკავშირებით, რომლებშიც სახალხო დამცველის აპარატს უწევს მუშაობა. ეს ასევე შეიძლება პოზიტიურ მოვლენად შეფასდეს ბავშვთა უფლებების დაცვაში ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული ინსტიტუტის როლისა და რესურსების გაძლიერების თვალსაზრისით, ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისად.

2. ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვების დასაცავად შესაბამისი ზომებზე ყურადღების გამახვილება.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

არ შესრულებულა: 2019 წელს თვალსაჩინო გახდა საქართველოს ბავშვთა დაცვის სისტემის წარუმატებლობის უმძიმესი შედეგები. და თუმცა ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგის წინა ანგარიშებში მონიტორინგის ჯგუფის მიერ არაერთხელ წამოჭრილა ბავშვთა დაცვის არსებული სისტემის სუსტი მხარეები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში „ჯანდაცვის სამინისტრო“) უარყოფდა ამ პრობლემებს. უმოქმედობის შედეგად 2019 წელს რამდენიმე ბავშვი დაიღუპა ტრაგიკულად იმის გამო, რომ ბავშვთა დაცვის მოხელეებმა ვერ მოახერხეს ბავშვთა მიმართ ძალადობის დადგენა და მასზე რეაგირება. ამ ტრაგედიებიდან ორმა დედაქალაქში მასობრივი საპროტესტო აქციები გამოიწვია, რომელთაც თან სდევდა მთავრობის გადადგომის მოთხოვნა.

2019 წლის 6 იანვარს ოთხი წლის ნინო ზალინაშვილი მოათავსეს საავადმყოფოში დედის მიერ მიყენებული დაზიანებების გამო. სასამართლომ გასცა შემაკავებელი ორდერი, რომელიც დედას ბავშვთან მიახლოებას უკრძალავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 22

იანვარს ნინო ზალინაშვილი საკუთარი საწოლში გარდაცვლილი იპოვეს.⁷⁷ თბილისის საქალაქო სასამართლომ დედა დამნაშავედ ცნო ბავშვის მკვლელობაში, რომელიც ხანგრძლივი ფიზიკური და ემოციური ძალადობის მსხვერპლი იყო და ამ ძალადობას არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება სოციალური სამსახურებისა და სამართლამდაცველი უწყებების მხრიდან.

ამ ტრაგედიამ გამოავლინა რიგი ნაკლოვანებებისა ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემაში, რომლებმაც შეიძლება რეალურად საფრთხე შეუქმნან ბავშვების სიცოცხლეს. ბავშვთა დაცვის სისტემაში დასაქმებული თითქმის ყველა სოციალური მუშაკი ერთ კვირაზე მეტი ხნით გაიფიცა. მათ სხვადასხვა სოციალური ჯგუფი შეუერთდა და უჭერდა მხარს, მათ შორის ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი. გამოჩნდა, რომ ბავშვთა დაცვის სისტემა კოლაფსის პირას არის. სოციალურმა მუშაკებმა სააშკარაოზე გამოიტანეს ბავშვთა დაცვის სისტემაში არსებული შემდეგი სისტემური პრობლემები:

- 100,000 ადამიანის მომსახურებისთვის მხოლოდ შვიდი სოციალური მუშაკი იყო გამოყოფილი. თითოეული სოციალური მუშაკი თვეში 200 ახალ შემთხვევაზე მუშაობდა, რაც არარეალისტური და შეუძლებელია.
- სოციალური მუშაკებისთვის ტრანსპორტირება და კომუნიკაციის საშუალებები ღამის ცვლებშიც კი არ იყო უზრუნველყოფილი. ბავშვზე ძალადობის გადაუდებელ შემთხვევებში ჩარევისას მათ დაზარალებულ ბავშვთან ერთად უწევდათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება. რეგიონებში, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არსებობს, მათ არ შეეძლოთ იმ ბავშვების დასახმარებლად წასვლა, რომელთაც ძალადობა ემუქრებოდათ.
- მთავრობა ბავშვთა მხარდაჭერის მომსახურებას ფაქტობრივად არ უზრუნველყოფდა, ხოლო თუ რომელიმე მომსახურების გაწევა ხდებოდა, ის შეფერხებით გაიწეოდა ან ძალზე მცირე იყო. მაგალითად, ბავშვთა კვების პროდუქტები მძიმე ეკონომიკურ სიტუციაში მყოფი ბავშვებისთვის თითქმის ერთი წლის დაგვიანებით გაიცემოდა.

77. OC Media, „ბავშვთა დაცვის სამსახურებს ბრალი ედებათ თბილისში დედის მიერ ოთხი წლის ბავშვის ცემით მოკვლაში“, 31 იანვარი, 2019. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 13.01.2020): <https://oc-media.org/child-services-blamed-after-4-year-old-beat-to-death-by-mother-in-tbilisi/>

- სოციალური მუშაკების შრომის ანაზღაურება არაადეკვატურია – დაახლოებით 600 ლარი (დაახლოებით 191 ევრო) თვეში.

მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე გაფიცვა ერთ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდა და მაშინ დასრულდა, როდესაც მთავრობამ პირობა დადო, რომ გააუმჯობესებდა ბავშვთა დაცვის სისტემაში არსებულ პირობებს. თუმცა 2019 წლის 3 მაისს სოციალურ მუშაკთა კავშირმა საჯაროდ განაცხადა, რომ მთავრობამ არ შეასრულა აღრინდელი დანაპირები.⁷⁸ შესაბამისად, ამჟამად საქართველოში მცხოვრებ ბავშვებს ემუქრებათ საშიშროება, ვერ მიიღონ მრავალი ფორმის ძალადობისა და შეურაცხყოფისგან დაცვა.

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელმაც თვალნათელი გახადა ბავშვთა მიმართ ძალადობის მხრივ ამჟამინდელი კრიზისი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეხებოდა. 2019 წლის 11 დეკემბერს 15 წლის ლუკა სირაძე ცხრასართულიანი შენობიდან გადმოხტა მას შემდეგ, რაც იკითხებოდა პოლიციის თანამშრომლების მიერ, რომლებიც, სავარაუდოდ, დაკითხვისას მასზე მძიმე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდნენ. ბავშვს აიძულებდნენ, ელიარებინა „დანაშაული“ – სკოლის კედლების უწმაწური წარწერებით მოხატვა. მოზარდის ტრაგიკულმა თვითმკვლელობამ ქუჩებში მასობრივი პროტესტი გამოიწვია. საპროტესტო აქციების მონაწილეები გმობდნენ პოლიციის ქმედებებს და მალალი თანამდებობის პირების გადადგომას ითხოვდნენ. გამოძიება პოლიციის ოფიცრის წინააღმდეგ დღესაც მიმდინარეობს.⁷⁹ მოზარდის ამ ტრაგიკულმა სიკვდილმა ძირი გამოუთხარა საზოგადოების ნდობას პოლიციის მიმართ, ინსტიტუტისა, რომელიც მანამდე აღიქმებოდა იმ უწყებად, რომელიც პირველი მოახდენს რეაგირებას ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სხვა დანაშაულების შემთხვევაში.

საქართველოს მთავრობას არ შეუძლებია ბავშვთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა. ბავშვთა დაცვის სამსახურ-

78. ნეტგაზეთი, „ჯანდაცვის სამინისტრო მოცემულ პირობებს არღვევს“, მაისი, 2019. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 13.01.2020): https://netgazeti.ge/news/360928/?fbclid=IwAR13wPD0dG2StjoKOGXAv4dzFmZbVkkeHt1vJEDNhhVLRIT_8-5NRuBznXRY

79. Democracy & Freedom Watch, Georgian policy under attack for brutality as 15 y/o commits suicide, after interrogation („შეტევა ქართულ პოლიციაზე სისასტიკის ბრალდებით დაკითხვის შემდეგ 15 წლის მოზარდის მიერ თვითმკვლელობის ჩადენის გამო“), 18 დეკემბერი, 2019. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 13.01.2020): <https://dfwatch.net/georgian-police-under-attack-for-brutality-as-15-y-o-commits-suicide-after-interrogation-53991>

რებს კვლავ აკლიათ რესურსები და მათი მუშაობაც არ არის სათანადო დონეზე. სამართალდამცველმა უწყებებმა შელახეს მათ მიმართ ნდობა და მათი დახმარების იმედი. მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, ძალადობისგან ბავშვთა დაცვის მხრივ ამჟამად არსებულ მდგომარეობაში რაიმე თვალსაზრისით პროგრესი არ აღინიშნება.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

1. ყველაზე მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვების (მათ შორის შშმ ბავშვების და ქუჩაში მცხოვრები ბავშვების) საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა გაზრდა სოციალური დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებისა და გაფართოების გზით, ისევე როგორც შშმ ბავშვებისთვის აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამებზე ტერიტორიული წვდომის მხარდაჭერის გზით, და ბავშვთა შრომის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

არ შესრულებულა: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს („ჯანდაცვის სამინისტრო“) მიერ მოწოდებული მონაცემებით,⁸⁰ გარკვეული რაოდენობრივი პროგრესი აღინიშნა იმ საკითხების მოგვარებაში, რომლებიც ყველაზე მოწყვლად ბავშვებზე ახდენს ზემოქმედებას:

- ცენტრალურ დონეზე კეთილდღეობის პროგრამების უმთავრესი წყაროს – სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვებზე ზრუნვის პროგრამის – დაფინანსება მთავრობის მხრიდან 2018 წელთან შედარებით 27%-ით გაიზარდა. 2019 წელს დაფინანსებამ 35,890,000 ლარს მიაღწია (დაახლოებით 11,500,000 ევრო), მაშინ, როცა 2018 წელს ის მხოლოდ 28,200,000 ლარი იყო (დაახლოებით 9,005,000 ევრო);

80. წერილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან №01/277, 13.01.2020.

- ნათესაური მინდობით აღზრდის ფინანსური უზრუნველყოფა 35%-ით გაიზარდა და თვეში 375 ლარს (დაახლოებით 120 ევრო) შეადგენს, ხოლო ფინანსური უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მინდობით აღზრდისთვის 50%-ით გაიზარდა და თვეში 900 ლარი გახდა (დაახლოებით 287 ევრო);
- მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები შშმ ბავშვების დღიური მომსახურების დაფინანსების ოდენობა 50%-ით გაიზარდა - 2018 წელს დაფინანსება 20 ლარი იყო (დაახლოებით 6 ევრო), ხოლო 2019 წელს 30 ლარი გახდა (დაახლოებით 10 ევრო);
- იმ შშმ ბავშვების ინდივიდუალური თვიური მომსახურების დაფინანსება, რომლებიც დღის ცენტრებში დადიან, 26%-ით გაიზარდა - 2018 წელს დაფინანსება 230 ლარი იყო (დაახლოებით 73 ევრო), ხოლო 2019 წელს 290 ლარამდე გაიზარდა (დაახლოებით 92 ევრო);
- ადრეული რეაბილიტაციის პროგრამის დაფინანსება 700,000 ლარით (დაახლოებით 223,000 ევრო), გაიზარდა; 62,000 ლარით (დაახლოებით 20,000 ევრო) გაიზარდა, ასევე, მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის პროგრამის დაფინანსებაც.

ეს ციფრები, ერთი შეხედვით, შთამბეჭდავია. მაგრამ მოწყვლადი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის გაწეული მომსახურების ხარისხი კვლავ ძალზე დიდი შეშფოთების საგანია.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული სპეციალური ანგარიშის⁸¹ მიხედვით:

- მთავრობა სიღარიბის გამო უკანონოდ აშორებს ბავშვებს ბიოლოგიურ ოჯახებს, რაც ბავშვის უფლების - იცხოვროს ოჯახური ცხოვრებით - დარღვევად არის აღიარებული. ეს სიღარიბეში დაბადებული და გაზრდილი ბავშვების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომაა. ოჯახების დასჯა ბავშვთან დაშორებით მიუღებელი პრაქტიკაა და არღვევს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპებს.

81. საქართველოს სახალხო დამცველი, „ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი - ალტერნატიული ზრუნვის ეფექტიანობა“, სპეციალური ანგარიში, 2019. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 13.01.2020): <http://ombudsman.ge/eng/spetsialuri-angarishe-bi/bavshvze-zrunvis-sistemis-monitoringi-alternatiuli-zrunvis-efektianoba-spetsialuri-angarishi>

- სახალხო დამცველის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილე ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი (24.2%) საუბრობდა ფაქტებზე, როდესაც მიმღებმა მშობელმა მასზე ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად იძალადა (ყურის აწევა, სილის გაწვნა, ოთახში ჩაკეტვა). ბავშვების 32.5%-მა ცხელი ხაზის ნომერიც კი არ იცოდა, რომ დახმარების სათხოვნელად დაერეკა. ამას გარდა, არასრულწლოვნების 45.1% აცხადებს, რომ მინდობით აღმზრდელის უნებართვოდ და მისგან დამოუკიდებლად არ შეუძლია სოციალურ მუშაკთან დაკავშირება.
- მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ძალადობის ან ტრავმული გამოცდილების მქონე ბავშვები, რომლებსაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებთ, ვერ ღებულობენ ფსიქიატრიულ დახმარებას.

ალტერნატიული ზრუნვის სახელმწიფოს მიერ მართულ დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხს სახალხო დამცველი აფასებს როგორც უკიდურესად სახიფათოს: „მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ ძალადობის განსაკუთრებით მწვავე შემთხვევების დროსაც კი არ შეინიშნება შემთხვევის მულტიდისციპლინური მართვა, შესაბამისი პროფესიონალების დროული ჩართულობა და განმეორებითი ძალადობის პრევენცია.“ ასაკით უფროსი, ტრავმული გამოცდილების მქონე ბავშვების მხრიდან იკვეთება უმცროსი აღსაზრდელების მიმართ ძალადობის ფაქტები. კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვებს შორის სექსუალური ძალადობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც სავარაუდო მოძალადე და მსხვერპლი არასრულწლოვნები კვლავ ერთ სახლში რჩებიან. როგორც სახალხო დამცველი აცხადებს: „ფაქტობრივად არაფერი გაკეთებულა ხელახალი ძალადობის თავიდან ასაცილებლად.“ ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებებში ბავშვებს შორის ძალადობა შემამოფოთებელი დონის ჰომოფობიურ ძალადობასაც მოიცავს.

რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფი პანსიონური დაწესებულებების ფუნქციონირება ყველაზე პრობლემურ საკითხად რჩება. სახალხო დამცველი მონიტორინგის ანგარიშში აცხადებს,⁸² რომ ბავშვთა იმ შვიდი რელიგიური დაწესებულებიდან, რომლებშიც მონიტორინგი ჩატარდა, უმეტესობას არა აქვს ლიცენ-

82. იქვე, გვ. 37.

გია და უკანონოდ მოქმედებს. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები არც ამ ბავშვების რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებში მოთავსებაში მონაწილეობენ და არც ჩარიცხულ ბავშვთა ზუსტი რაოდენობა იციან. სახალხო დამცველის თქმით, „სოციალური მომსახურების სააგენტო თითქმის არ მონაწილეობს ბავშვების დაწესებულებაში ჩარიცხვისა და ამორიცხვის პროცესებში, არ კონტროლდება პანსიონებში არსებული სააღმზრდელო პირობები და გარემო... ყოველივე ეს სრულიად დაუცველ მდგომარეობაში აყენებს ამ დაწესებულებების არასრულწლოვან ბენეფიციარებს.“ ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია აცხადებს:⁸³ „ის ფაქტი, რომ მთავრობას არა აქვს ინფორმაცია რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფ პანსიონურ დაწესებულებებში ბავშვების რაოდენობის ან მათი ადგილმდებარეობის შესახებ, ქმნის იმის საშიშროებას, რომ მოხდეს ბავშვთა შეურაცხყოფა ან ტრეფიკინგი ისე, რომ მთავრობამ არ იცოდეს ამის შესახებ.“ ამგვარ დაწესებულებებში მოთავსებულ ბავშვებს არ აძლევენ ნებას, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრი და მათ მიმართ ძალადობის შემდეგ ფორმებს იყენებენ: ყურის აწევას, თმის მოქაჩვას, მეტანიების იძულებით გაკეთებას. ბავშვები იზოლირებულები არიან საზოგადოებიდან და ვერაგის სთხოვენ შველას.

ალტერნატიული ზრუნვის პროგრამების ფარგლებში მოწყვლადი ბავშვების მიმართ ძალადობის მიძიმე ფორმების, მათ შორის სექსუალური შეურაცხყოფის, გათვალისწინებით, ვერ ვილაპარაკებთ ამ სფეროში რაიმე პროგრესზე. მთავრობა აფინანსებს სერვისებს, რომლებიც არ იცავს ბავშვებს, რაც მიუღებელია. ამას გარდა, მთავრობა უგულებელყოფს რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფ არარეგულირებულ პანსიონურ დაწესებულებებში უკანონოდ მოთავსებული ბავშვების წინაშე არსებულ ტრეფიკინგის აქტიურ რისკს, რაც ასევე სრულიად მიუღებელია საერთაშორისო სამართლებრივი თუ ადამიანის უფლებათა სტანდარტების თვალსაზრისით.

83. Disability Rights International, Left Behind, The exclusion of Children and Adults with Disabilities from reform and rights protection in Republic of Georgia („უყურადღებოდ დარჩენილები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ზრდასრულების გამორიცხვა რეფორმიდან და უფლებათა დაცვიდან საქართველოს რესპუბლიკაში“), 2013. ივ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 13.01.2020): <https://www.driadvocacy.org/wp-content/uploads/Left-Behind-final-report.pdf>

2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის გაგრძელება

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: მონიტორინგის ჯგუფის მიერ საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოპოვებული მონაცემების მიხედვით⁸⁴, გენერალურმა პროკურატურამ იმუშავა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საქმეთა მონიტორინგის სისტემაზე. გაუმჯობესებები გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციებზე დაყრდნობით განხორციელდა.

არ შესრულებულა: ვინაიდან პროკურატურას არ მოუწოდებია რაიმე დამატებითი ინფორმაცია და ამის მიზეზად კონფიდენციალურობა დასახელა, მონიტორინგის ჯგუფმა ღია წყაროზე და არასამთავრობო ორგანიზაციათა კვლევების ანგარიშებზე დაყრდნობით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმებში შემდეგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები დაადგინა:

- სისხლის სამართალწარმოებაში მოწმის სტატუსის მქონე ბავშვები არ იღებენ უფასო იურიდიულ დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან, რაც დაკითხვისა და გამოძიების პროცესში ცუდად მოპყრობის სერიოზულ რისკს წარმოქმნის. 2019 წლის დეკემბერში, მოზარდის ტრაგიკული თვითმკვლელობის შემდეგ, გაეროს ბავშვთა ფონდმა მთავრობას მკაფიო მოთხოვნით მიმართა:⁸⁵ „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დანაშაულის მოწმე ყველა ბავშვს ხელი მიუწვდებოდეს იურიდიულ დახმარებაზე სისტემასთან კონტაქტის პირველივე წუთებიდან.“
- სამართალწარმოებაში ბავშვების წარმომადგენლები, რომელ-

84. წერილი № 13/87970, 17 დეკემბერი, 2019.

85. გაეროს ბავშვთა ფონდი, „გაეროს ბავშვთა ფონდი მოუწოდებს დაცული იყოს ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში“, 16 დეკემბერი, 2019. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 13.01.2020): <https://www.unicef.org/georgia/press-releases/unicef-calls-protect-childrens-rights-juvenile-justice-system?fbclid=IwAR3K1jG2RNzyaiwUSZ0EChcRf09Snxj3ewk-fkx4i6fJ24NyVof0XJFz0IQ>

თაც აკისრიათ უდიდესი პასუხისმგებლობა - დაიცვან ბავშვთა უფლებები დაკითხვისას და სამართალწარმოების დროს, უმეტესად არც კი იცნობენ კანონს და საკუთარ ვალდებულებებს იმ ბავშვების მიმართ, რომელთაც წარმოადგენენ.⁸⁶

- იურიდიული დახმარების სამსახურები, რომლებიც არასრულწლოვანი მოპასუხეებისთვის უფასო იურიდიულ დახმარებას უზრუნველყოფენ, ჩვეულებრივ, ძალზე გადატვირთულები არიან. შედეგად ადვოკატები ვერ უთმობენ საკმარის დროს საქმის გაცნობას და ბავშვის უნიკალური საჭიროებების შესწავლას, რაც ბავშვს არასწორად წარდგენის რისკს უქმნის.
- დანაშაულის მსხვერპლ ბავშვებთან მიმართებაში უნდა გაძლიერდეს ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა. ამჟამად მართლმსაჯულების სისტემაში დანაშაულის მსხვერპლი ბავშვებისთვის არ არის ბავშვზე მორგებული გარემო (გარდა რუსთავის საპილოტე მოდელისა) და თანამშრომლებს არა აქვთ საკმარისი უნარები ბავშვის სპეციფიკური საჭიროებების (ასაკი, შემდგომი შესაზღვებლობა, გენდერი და სხვ.) გასათვალისწინებლად. სასამართლო ექსპერტიზის ბიურო და მის მიერ გამოყენებული მეთოდები არ არის ბავშვზე ორიენტირებული. სასურველია დანაშაულის მსხვერპლი ბავშვებისთვის კომპლექსური სივრცის შექმნა, სადაც იქნება როგორც გამოძიების, ისე რეაბილიტაციის კომპონენტები და რომელიც უზრუნველყოფს, რომ სამართალწარმოების პროცესში ბავშვები ღებულობდნენ სათანადო მხარდაჭერას და არ ხდებოდეს მათი რევიქტიმიზაცია.
- უნდა გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების სისტემის ტექნიკური შესაძლებლობა, მაგალითად, სამართალდამცველ სტრუქტურებში უნდა შეიქმნას არასრულწლოვანთა სპეციალური დანაყოფები და სპეციალურად მომზადებული პროფესიონალები უნდა დაინიშნონ მხოლოდ ბავშვთა საქმეებზე სამუშაოდ. ასევე უნდა შეიქმნას დანაშაულის პრევენციის მექანიზმი, რათა უზრუნველყოფილი იყოს დანაშაულის ადრეულ ეტაპზე თავიდან აცილება. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებს გარეთ უნდა გაძლიერდეს სოციალური, ბავშვის დაცვისა და განათლების სისტემების როლი, რათა მოხდეს რისკის

86. მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციის ცენტრი, „არასრულწლოვანი მოპასუხეების უფლებები სისხლის სამართალწარმოებაში“, იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 13.01.2020): <https://www.rivg.ge/media/1001537/2018/01/28/1a0838e1018ccb2ac2f27d917b0dce37.pdf>

ფაქტორების დადგენა, შესაბამისი შემდგომი სამუშაო ჩატარება და მოწყვლადი ბავშვებისთვის დახმარების გაწევა.

ვითვალისწინებთ რა აღნიშნულ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, ჩვენი შეფასებით, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაში შეზღუდული პროგრესი აღინიშნება.

3. ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციისკენ მუშაობის გაგრძელება.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

არ შესრულებულა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ განახორციელა გარკვეული ზომები დეინსტიტუციონალიზაციის მისაღწევად (აღწერილია ზემოთ), რჩება მეორე ტენდენცია, რომელიც ძირს უთხრის დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის შედეგებს. სახალხო დამცველის განცხადებით, არსებული რელიგიური პანსიონების უმეტესობა დიდი ზომის ინსტიტუციაა, რაც, ომბუდსმენის თქმით, „დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მიზნებს არ შეესაბამება, პანსიონებში არსებული სააღმზრდელო პირობები კი ვერ პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპს.“ და რადგან საქართველოს მთავრობა არა მხოლოდ ქვეყანაში რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში მყოფი ბავშვთა უკანონო პანსიონური დაწესებულებების არსებობას უგულებელყოფს, არამედ ამ დაწესებულებებში უკანონოდ იზოლირებული ბავშვების წინაშე არსებულ ტრეფიკინგისა და ძალადობის რისკსაც, ჩვენ ვერ შევაფასებთ, რომ ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის თვალსაზრისით რაიმე მყარი და თანმიმდევრული პროგრესი არსებობს.

მოკლევადიანი პრიორიტეტები

1. სამუშაო სივრცეში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობების შრომითი ინსპექციის სისტემის საზედამხებველო ფუნქციების განმსაზღვრელი საკანონმდებლო ჩარჩოს მიღება, და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტების შესაბამისად, არსებულ კანონმდებლობაში შრომის ინსპექტორთა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვების აღმოფხვრა.⁸⁷

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და მიიღო ახალი **ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“**.⁸⁸ ორგანული კანონი ძირითადად უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების არსებით ასპექტებს.⁸⁹ 2018 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალი.⁹⁰ 2019 წლის 1 სექტემბრიდან ორგანული კანონის მნიშვნელოვანი ნაწილები შევიდა ძალაში. ადრე კანონი მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე ვრცელდებოდა. 1 სექტემბრიდან იგი ეხება მშრომელთა უსაფრთხოების ზედამხებველობას ეკონომიკური აქტივობის ყველა სექტორში. 2019 წლის 1 სექტემბრამდე შრომის ინსპექციას სა-

87. საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი, გვ. 23.

88. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, ქართული ვერსია, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4486188?publication=0>

89. EMC-ის მოსაზრებები „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე <https://emc.org.ge/ka/products/emc-is-mosazrebebi-shromis-usaftrk-hoebis-shesakheb-sakartvelos-organuli-kanonis-proektze>

90. მთავრობის დადგენილება „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ (დოკუმენტი №381; მიღებულია 27/07/2018; გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 01/08/2018) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4277583?publication=0>

წარმოს/ობიექტის არაშერჩევითი/დაუგეგმავი კონტროლის ჩატარება მხოლოდ სასამართლოს წინასწარი თანხმობის შემთხვევაში შეეძლო. ამიერიდან შრომის ინსპექცია უფლებამოსილია, ნებისმიერ სამუშაო სივრცეში წინასწარი შეტყობინების გარეშე ჩაატაროს ინსპექტირება და თავისი სამუშაო ამ სივრცეში დღის ნებისმიერ დროს შეასრულოს.

არ შესრულებულა: „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის მოქმედების სფერო შეზღუდულია. შრომის უსაფრთხოებად მხოლოდ მშრომელთა ფიზიკური უსაფრთხოება მიიჩნევა და უგულებელყოფილია სამუშაო ადგილზე არსებული ფსიქოსოციალური საფრთხეები და რისკები. საჭიროა შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერება. დროულად უნდა დაიწყოს შრომის ინსპექციის გარდაქმნა დამოუკიდებელ ორგანოდ. ამას გარდა, პრობლემაა ინსპექტორთა რაოდენობა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულის ნახევარზე ნაკლებია. შრომის ინსპექციის დეპარტამენტის თბილისის გარეთ მუშაობას მნიშვნელოვნად აფერხებს რეგიონული ინსპექციის არარსებობა. აღსანიშნავია, რომ ამჟამად შრომის ინსპექციის მანდატი არ მოიცავს ზოგადად შრომის კანონმდებლობის/შრომის პირობების აღსრულებას. გარდა ამისა, 2019 წლის 1 სექტემბერი იყო საბოლოო ვადა, როდესაც მთავრობას უნდა მოეხდინა ინიცირება ან მიეღო შესაბამისი ნორმატიული აქტები „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის აღსასრულებლად, როგორებიც არის: „ეკონომიკურ საქმიანობათა რისკების შეფასება“, „მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნები“, მარეგულირებელი აქტი „შრომის ინსპექციის მიერ სამუშაო ადგილზე შესვლის წესებისა და პირობების შესახებ“, რომელიც არეგულირებს შრომის ინსპექციის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, საქმიანობას. მაგრამ შესაბამისი აქტები არ დამტკიცებულა ან არ მიღებულა.⁹¹

91. EMC-ის მოსაზრებები „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის კონკრეტული დებულების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით იხ. შემდეგ მისამართზე: <https://emc.org.ge/ka/products/ra-sheitsvala-1-sektembridan-shromis-usaftrkhebis-datsvis-tvalsazrisit>

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

1. შრომის კოდექსის (2013 წლის ივნისში მიღებული) შესრულება. კოდექსისა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. შრომის კოდექსში შრომითი დავების მოგვარების პროცედურების გაწერა და მედიატორთა სიის ფორმირებით, მოლაპარაკების კულტურის განვითარება.⁹²

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: მედიაციის ეროვნული ჩარჩო საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. შრომის კოდექსის მიხედვით, კოლექტიური შრომითი დავების შემთხვევებში მხარეებს უფლება აქვთ, მიმართონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) შემათანხმებელი პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე მედიატორის დანიშვნის თხოვნით.⁹³ კანონში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა – მინისტრს ენიჭება უფლებამოსილება, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში, მხარის წერილობითი მიმართვის გარეშე, საკუთარი ინიციატივით დანიშნოს კოლექტიური შრომითი დავის მედიატორი. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია (საქართველოს მთავრობა, ქვეყნის დამსაქმებელთა ასოციაციები და მშრომელთა კავშირები) მედიატორთა შერჩევის პროცესში კონკრეტულ კანდიდატებს უწევს რეკომენდაციას. რეესტრის სახით წარმოებულ მედიატორთა საბოლოო სიას სამინისტრო ამტკიცებს.⁹⁴

არ შესრულებულა: თითქმის არავითარი პროგრესი არ აღინიშნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი კონვენციების

92. საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი, გვ. 22.

93. საქართველოს შრომის კოდექსის მუხლი 48¹, ინგლისური ვერსია იხ. შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/en/document/view/1155567?publication=12>

94. საქართველოს მთავრობის დადგენილება №301 „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“, 25 ნოემბერი, 2013, ქართული ვერსია იხ. შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091854?publication=2>

რატიფიცირების თვალსაზრისით. კერძოდ, ეს კონვენციებია 1947 წლის კონვენცია შრომის ინსპექტირების შესახებ (№81), 1947 წლის შრომის ინსპექტირების შესახებ კონვენციის (№81) 1995 წლის ოქმი, 1969 წლის კონვენცია შრომის ინსპექტირების (სოფლის მეურნეობაში) შესახებ (№129), 1981 წლის კონვენცია საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ (№155), 1985 წლის კონვენცია საწარმოო ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესახებ (№161), 1995 წლის კონვენცია მაღაროებში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ (№176), 1970 წლის კონვენცია მინიმალური ხელფასის დაწესების შესახებ (№131) და სხვ.

მედიაციის არსებული მექანიზმი კოლექტიური შრომითი დავების შემთხვევებში არ არის საკმარისად ეფექტიანი. შრომითი მედიაციის მექანიზმის მუშაობის ხელისშემშლელ ფაქტორთა შორისაა მედიატორთა სათანადო რაოდენობის არარსებობა, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, მედიატორებთან სავალდებულო სახელშეკრულებო სქემის არარსებობით და, მეორე მხრივ, მედიატორთა არასათანადო ანაზღაურების განაკვეთით. აღნიშნული პრობლემა კი არსებით გავლენას ახდენს დავაზე მედიატორის დროულად დანიშვნის პროცესზე. პრობლემურია მხარეთა ფართო მონაწილეობითა და ინდივიდუალური კრიტერიუმებით მედიატორის დანიშვნა კონკრეტულ დავაზე, ასევე, მედიატორთა გადამზადებისა და განგრძობითი განათლების მუდმივმოქმედი სისტემის ფუნქციონირება, რაც მედიატორთა კვალიფიკაციის სისტემატურ ამაღლებასა და კონკრეტული დავის სპეციფიკასთან მათ შესაბამისობას უზრუნველყოფდა. მნიშვნელოვან პრობლემად რჩება იმგვარი სამართლებრივი ჩარჩოს არსებობაც, რომელიც უზრუნველყოფდა დამსაქმებლის კომერციულ ინფორმაციასთან დასაქმებული მხარის დაშვებას, რაც შესაძლებლობას მისცემდა დასაქმებულებს, კომპანიის რეალურ მდგომარეობასთან თანმხვედრი და დასაბუთებული მოთხოვნებით ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი კოლექტიური დავის მოლაპარაკების პროცესში.⁹⁵

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შრომის ინსპექტირების ეფექტიანი მექანიზმის არარსებობის პირობებში მშრომელთა შრომითი უფლებების დასაცავი მთავარი საშუალება სასამართლოა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით,

95. იხ. EMC-ს პუბლიკაცია „შრომითი მედიაციის სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევა“, 2019 წლის იანვარი, ქართული ვერსია იხ. შემდეგ მისამართზე: <https://emc.org.ge/ka/products/shromiti-mediatsiis-samartlebrivi-da-sotsiologiuri-kvlewa>

შრომითი დავები სასამართლოს მიერ ერთი თვის მანძილზე უნდა გადაწყდეს.⁹⁶ მაგრამ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული მონაცემებით, შრომით დავასთან დაკავშირებული სამართალწარმოების საშუალო ხანგრძლივობა 10 თვეს აღემატება. საქმეთა თითქმის ერთ მეოთხედში (23%) დავა წელიწადზე მეტ ხანს გრძელდება.⁹⁷

2. ეფექტიანი შრომითი ინსპექციის სისტემის შექმნის მიზნით მუშაობის გაგრძელება, რათა ნებისმიერი სახის შრომის პირობებისა და შრომითი ურთიერთობების ინსპექტირება შესაბამისი კომპეტენციით, შესაძლებლობებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების დაცვით განხორციელდეს.⁹⁸

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელდა

შესრულდა: როგორც ზემოთ აღინიშნა, 2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომლის ნაწილი 2019 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა ძალაში. კერძოდ, 1 სექტემბრიდან კანონი ვრცელდება მშრომელთა უსაფრთხოების ზედამხედველობაზე ეკონომიკური აქტივობის ყველა სექტორში. შრომის ინსპექცია უფლებამოსილია, ნებისმიერ სამუშაო სივრცეში წინასწარი შეტყობინების გარეშე, დღის ნებისმიერ დროს ჩაატაროს ინსპექტირება. ორგანული კანონი ადგენს ჯარიმებსა და სანქციებს კანონის პოტენციური დარღვევებისათვის. სანქციათა სისტემა ადეკვატურად და შესაფერისად შეიძლება შეფასდეს, თუკი კანონი ეფექტიანად იქნება გამოყენებული.

2019 წელს პარლამენტის წევრმა დიმიტრი ცქიტიშვილმა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით, მოამზადა საქართველოს შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი და შრომის ინსპექტირების შესახებ კანონპროექტი. კანონპროექტები ითვალისწინებდა ევროკავშირის შესაბამისი დირექტივებით და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის

96. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 59.
 97. ინფორმაცია წარმოდგენილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ 2017 წლის ანგარიშში. ქართული ვერსია იხ. შემდეგ მისამართზე: <https://sao.ge/files/audit/auditis-angarishebi/2017/dasagmebulta-shromiti-uflebebis-dacvis-meganizmebi.pdf>
 98. საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი, გვ. 22.

კონვენციებით (რომლებთან ჰარმონიზების ვალდებულება საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აქვს ნაკისრი) დადგენილ სტანდარტებს. ამას გარდა, შრომის ინსპექტირების შესახებ კანონის პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში სტრუქტურულად დამოუკიდებელი შრომის ინსპექციის შექმნას და მისი უფლებამოსილების გაძლიერებას. 2019 წლის სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, საერთაშორისო ორგანიზაციების, პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებლების წარმომადგენლები. ამ შეხვედრებზე შემოთავაზებული ცვლილებები იქნა განხილული. თითოეულმა მხარემ წარმოადგინა საკუთარი შენიშვნები შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. მაგრამ იმ პოლიტიკური მოვლენების გამო, რომლებიც საქართველოში 2019 წლის ბოლოს განვითარდა, კანონპროექტები შეჩერებულია და გაურკვეველია, როდის გაგრძელდება მათზე მუშაობის პროცესი.

სამინისტრომ გარკვეული მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თავისი სტრუქტურული დანაყოფის - შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის - გასაძლიერებლად. კერძოდ, 2019 წლის სექტემბრიდან საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ახორციელებს ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების (TWINNING) პროექტს, რომლის მთავარი ბენეფიციარი შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტია. პროექტი მიზნად ისახავს ქვეყნის კანონმდებლობაში ევროკავშირის იმ დირექტივების დებულებათა ინტეგრირებას, რომლებსაც ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს.⁹⁹ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით დეპარტამენტი მიზნად ისახავს ადამიანებით ტრეფიკინგისა და იძულებითი შრომის შესახებ კანონმდებლობის აღსრულებისკენ მიმართული მეთოდოლოგიის ცვლილებას.¹⁰⁰ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით სამინისტრო კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს უტარებს შრომის ინსპექტორებს, აყალიბებს სახელმძღვანელო მითითებებს შრომის ინსპექციის საქმიანობის და სტანდარტული საოპერაციო პროცედურების დაგეგმვისა და მონიტორინგისათვის, ქმნის ელექტრონულ სისტემას შრომის ინსპექციების მართვის მიზნით, აყალიბებს სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების დაზღვევის სტანდარტებს და სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებს და ა.შ.¹⁰¹

99. ინფორმაცია ქართულ ენაზე იხ. შემდეგ მისამართზე: <https://www.moh.gov.ge/ka/725/>

100. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ EMC-თვის მიწოდებული ინფორმაცია, 27 დეკემბერი, 2019.

101. იქვე.

არ შესრულებულა: შრომის ინსპექციის ინსტიტუციის გაძლიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამისათვის დროულად უნდა დაიწყოს შრომის ინსპექციის დეპარტამენტის დამოუკიდებელ უწყებად ქცევის პროცესი. აუცილებელია ინსპექტორთა რაოდენობის საკითხის მოგვარებაც: მათი რაოდენობა ბევრად ნაკლებია საერთაშორისო სტანდარტზე, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის საქმიანობას თბილისის გარეთ. უნდა გაფართოვდეს შრომის ინსპექციის მანდატი და მას საშუალება მიეცეს, ზედამხედველობა გაუწიოს შრომითი კანონმდებლობის აღსრულებას. გარდა ამისა, ორგანული კანონის სერიოზული ნაკლოვანებაა, რომ შრომის უსაფრთხოებად მხოლოდ მშრომელთა ფიზიკური უსაფრთხოება განიხილება და მათი ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა შრომის უსაფრთხოების სფეროში თითქმის მთლიანად უგულებელყოფილია. პრობლემაა ისიც, რომ კანონი და მასში განსაზღვრული ვალდებულებები არ ეხება მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმებულ პირებს, რაც ჩვეულებრივი პრაქტიკაა მშენებლობის სექტორში. შესაბამისად, ამგვარი ხელშეკრულებების საფუძველზე მომუშავე პირები არ იღებენ უბედური შემთხვევისგან სავალდებულო დაზღვევას, რომელიც კანონის მიხედვით სხვა მშრომელებისთვის არის უზრუნველყოფილი.

3. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მეშვეობით, სოციალური დიალოგის გაუმჯობესების გაგრძელება.¹⁰²

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: საქართველოში სოციალური დიალოგის ხელშესაწყობად სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია ჩამოყალიბდა. კომისია შეიქმნა 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის შედეგად. 2018-2019 წლებში კომისიამ მონაწილეობა მიიღო მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის შედგენაში და უბედური შემთხვევებისგან დაზღვევის საკითხების განხილვაში. აღნიშნულ საკითხებზე ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით,

102. საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი, გვ. 22.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ორგანიზებით, ჩატარდა შეხვედრები თბილისსა და რეგიონებში.¹⁰³

გარდა ამისა, სოციალური პარტნიორობის სამმხრივმა კომისიამ გამართა ორი შეხვედრა, რომლებზეც ტყიბულის მაღაროსთან დაკავშირებული საკითხები¹⁰⁴ იქნა განხილული. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით შეიქმნა გერმანული კომპანია (DMT), რომელსაც, შრომითი უსაფრთხოების სფეროს ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად, დაევალა შრომის პირობების შესწავლა და ქართული მხარისათვის ანგარიშის წარდგენა. ანგარიში მომზადდა,¹⁰⁵ მაგრამ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, არ გამოქვეყნებულა.

არ შესრულებულა: მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი მანდატისა, კომისიამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა ეფექტიანი სოციალური დიალოგის უზრუნველყოფა. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მიერ ბოლო წლებში ჩატარებული სამუშაო გვაფიქრებინებს, რომ მისი საქმიანობა შემოიფარგლება სოციალურ პარტნიორებთან მუშაობით, რაც გულისხმობს დისკუსიებიდან სხვა სათემო ჯგუფებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამოირიცხვას და ეფექტიანი სოციალური დიალოგის შეზღუდვას.

ანტიკორუფციული პოლიტიკა, საჯარო ადმინისტრაციის რეფორმა და საჯარო სამსახური

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

1. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან (CSO) და სოციალურ პარტნიორებთან (პროფესიული კავშირები და დამსაქმებელთა ორგანიზაციები), როგორც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ პრიორიტეტულ სფეროებში, მათ შორის შრომითი უფლებების [...] სფეროებში, დაინტერესებულ სუბიექტებთან და მაკონტროლებლებთან, თანამშრომლობა¹⁰⁶

103. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ანგარიში საქმიანობის შესახებ, 2018, გვ. 17; ქართული ვერსია იხ. შემდეგ მისამართზე: <https://www.moh.gov.ge/uploads/files/2019/Faile-bi/27.06.2019-12.pdf>

104. გასული წლების განმავლობაში შრომელთა სიკვიდილიანობის მაღალი მაჩვენებლის გამო 2019 წელს ხსენებული მაღაროს საქმიანობა შეჩერდა.

105. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ანგარიში საქმიანობის შესახებ, 2018, გვ. 17.

106. საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი, გვ. 19.

ზოგადი შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2019 წელს აღინიშნა მნიშვნელოვანი ტენდენცია – სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და შრომის კანონმდებლობის საკითხებით დაინტერესებული სხვა მხარეების ჩართულობით და მათთან პარტნიორობით გაიმართა სამუშაო შეხვედრები საქართველოს შრომის კოდექსში ინიცირებული ცვლილებების და შრომის ინსპექციის შესახებ ახალი კანონპროექტის განსახილველად. სამწუხაროდ, იმ პოლიტიკური მოვლენების გამო, რომლებიც საქართველოში 2019 წლის ბოლოს განვითარდა, კანონპროექტების ინიცირება არ მომხდარა.

არ შესრულებულა: ევროკავშირის დირექტივების მიხედვით, ქვეყნები ვალდებული არიან, განახორციელონ შესაბამისი ზომები სოციალურ პარტნიორობთან დიალოგის ხელშესაწყობად და გამართონ დიალოგი შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სამმხრივი კომისიის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების შექმნა და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობა პოზიტიური ტენდენციაა, რომელსაც საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სოციალური დიალოგის გაღრმავების პოტენციური აქვს. თუმცა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მიერ ბოლო ხანებში ჩატარებული სამუშაო გვაფიქრებინებს, რომ მისი საქმიანობა შემოიფარგლება სოციალურ პარტნიორობთან (პროფესიულ კავშირებთან და დამსაქმებელთა ასოციაციებთან) მუშაობით, რაც გულისხმობს სხვა სათემო ჯგუფებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამორიცხვას.¹⁰⁷

107. იხ. EMC-ის პუბლიკაცია შრომით ურთიერთობებში თანასწორობის შესახებ, გვ. 48, ქართული ვერსია იხ. შემდეგ მისამართზე: <https://emc.org.ge/ka/products/tanastorsoba-shromit-urtiertobebshi>

ბარეშო დო კლიმატის ცვლილება

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

1. საქართველოს მესამე გარემოსდაცვითი სამოქმედო ეროვნული პროგრამის (2017–2021) იმპლემენტაცია მასში გაწერილი განრიგის შესაბამისად;

შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2017 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რომელიც 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. 2018 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა კოდექსის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (SEA). თუმცა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის განხორციელების ფარგლებში გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამისი ეროვნული სტრატეგიებიდან, სახელმძღვანელო დოკუმენტებიდან და სამოქმედო გეგმებიდან მხოლოდ ზოგიერთი დოკუმენტი წარედგინა. 2019 წელს საქართველოს მთავრობამ ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი დაამტკიცა არა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ფარგლებშიც: წიაღისეულის მოპოვების სტრატეგია და მაღალმთიანი ტერიტორიების განვითარების სტრატეგია 2019-2023 წლებისათვის.

განხორციელდა განათლების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გაწერილი რიგი ქმედებებისა:

- საქართველომ შეიმუშავა გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც 2018 წლის 29 დეკემბერს იქნა მიღებული.
- დასრულდა 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება, რომელიც 2019 წლის 30 დეკემბერს იქნა მიღებული.
- რვა ავტომატური სადგურისა და ერთი მობილური ხელსაწყო მუშევრებით მიმდინარეობს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე air.gov.ge წარმოდგენილია ადგილზე ატმოსფერული ჰაერის დამაბინ-

ძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციები.

- სხვადასხვა ზონაში, კერძოდ, სატყეო მეურნეობებსა და შავ ზღვაზე მეთევზეობის ადგილებში კონტროლის გაძლიერების მიზნით შემუშავდა გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემა.
- წყლის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავების მიზნით საქართველო განაგრძობს ENI SEIS II პროგრამაში მონაწილეობას და მუშაობს ზედაპირული წყლებისა და გრუნტის წყლების (მათ შორის შავი ზღვის) ხარისხზე მონიტორინგის სისტემის გასაუმჯობესებლად.
- გარემოსდაცვითი შეფასების პროცესების ავტომატიზაციის მიზნით მიმდინარეობს მუშაობა გარემოსდაცვითი შეფასების ელექტრონული სისტემის შესაქმნელად.
- მნიშვნელოვანი დაგვიანებით, 2019 წლის ბოლოს, პირველი საჯარო მოსმენით მიღებული იქნა ტყის კოდექსი, რომელშიც მთელი რიგი პირობების შეტანაა საჭირო მეორე საჯარო მოსმენამდე. საბოლოო მოსმენა 2020 წლის ბოლოს იგეგმება.
- „ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლიუს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის“ ფარგლებში მიმდინარეობს ტოროხი-აჭარისწყლის, ალაზანი-იორის და ხრამი-დებედას აუზების მართვის გეგმების შემუშავება.

არ შესრულებულა: განათლების ეროვნული სამოქმედო გეგმა-3-ის განხილვამ გვაჩვენა, რომ მისი განხორციელება როგორც სამართლებრივი, ასევე პრაქტიკული ქმედებების ჩატარების მხრივ გრაფიკს ჩამორჩება. მთელი რიგი აქტივობებისა, რომლებიც 2018 წლისათვის უნდა შესრულებულიყო, მათ შორის ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების განხორციელება, 2020 წლისათვის გადაიდო. იმ აქტივობების სულ მცირე ერთი მესამედი, რომლებიც 2019 წლისათვის უნდა დაწყებულიყო ან სრულად განხორციელებულიყო, არ დაწყებულა და მხოლოდ ერთი მესამედი შესრულდა დროულად.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს 2017 წელს მიღებული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნათა შესრულებას საზოგადოების მონაწილეობის თაობაზე, ის სისტემატურად არღვევს ამ მოთხოვნებს, კერძოდ, კონსულტაციების ჩატარების ვადების, დოკუმენტაციის გავრცელებისა და მასზე წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ძალზე

შებლუდულია საზოგადოების მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და გარემოსდაცვითი კანონების შემუშავების პროცესებშიც. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან კონსულტაციებში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

არ შესრულებულა ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები:

- 2018-2022 წლების მდგრადი განვითარების მიზნით გარემოსდაცვითი განათლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება;
- 2019 წელს პარლამენტში ნიადაგის დაცვის შესახებ კანონპროექტის და ნიადაგდაცვითი ღონისძიებების, ნიადაგის კონსერვაციის, ნიადაგის ნაყოფიერების ზრდისა და შენარჩუნების შესახებ კანონების წარდგენა;
- დიზელის საწვავის ხარისხის ეროვნული ნორმის Euro 5 სტანდარტთან დაახლოების საკითხი 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე გადაიდო.
- მთავრობის მიერ „მდინარის აუზების მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და მიღების პროცედურის“ დამტკიცება.

2. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმაში გაწერილ ღონისძიებათა იმპლემენტაცია.

შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელბულა

შესრულდა: ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად შემუშავდა და მიღებული იქნა ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმები ყველა მუნიციპალიტეტისთვის, თბილისის ჩათვლით. შემუშავდა ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა, რომელმაც ფუნქციონირება 2018 წლის 1 იანვრიდან დაიწყო. პირველი ნაბიჯები გადაიდგა სახიფათო ნარჩენების მართვის ეროვნული სისტემის შესაქმნელად.

ნარჩენების მართვის კოდექსის ფარგლებში მთავრობამ მიიღო რამდენიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც მოიცავენ ნარჩენების ტრანსპორტირების, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების, ასევე პოლიეთილენის პარკების და ბიოდეგრადირებადი პოლიეთილენის პარკების გამოყენებისა და საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული, ექსპორტირებული თუ ტრანზიტული ნარჩენების მართვის შესახებ მოთხოვნებს. მნიშვნელოვანი დაგვიანებით მიმდინარე ქუთაისისა და აჭარის რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა 2020 წლის ბაზრულში უნდა დასრულდეს. მიმდინარეობს კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობის პროექტების შემუშავებისა და მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობის შესაძლებლობების შესწავლის პროცესი.

არ შესრულებულა:

- საქართველომ 2019 წლის დეკემბრამდე გადაავადა მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის (EPR) სქემის შემუშავება. მომზადებულია ექვსი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი (თითოეული სპეციფიკური ნაკადის მართვისთვის: შეფუთვის ნარჩენები, ნარჩენი ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობები, ნარჩენი ზეთები, საბურავები, აკუმულატორები და ბატარეები).
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №661 დადგენილებით კომპანიები, რომლებიც 2 ტონაზე ნაკლებ არასახიფათო ნარჩენებსა და 120 კგ ან ნაკლებ სახიფათო ნარჩენებს (არ იგულისხმება მუნიციპალური ნარჩენები) წარმოქმნიან, 2025 წლის 1 იანვრამდე განთავისუფლებული არიან ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების, გარემოსდაცვითი მმართველის დანიშვნის და ნარჩენების აღრიცხვის ვალდებულებისგან.
- არც ერთი არალეგალური ნაგავსაყრელი არ დახურულა.

3. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გაგრძელება და ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამის დანართებში გაწერილი ევროკავშირის დირექტივებისა და რეგულაციების იმპლემენტაცია.

შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: 2017-2019 წლებში მხოლოდ რამდენიმე დირექტივის დაახლოება მოხდა ასოცირების შესახებ შეთანხმებაში გათვალისწინებული განრიგის მიხედვით, მათ შორის:

- განხორციელდა ქმედებები **ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 21 მაისის 2008/50/EC დირექტივის „ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და უფრო სუფთა ჰაერი ევროპისთვის“ და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 15 დეკემბრის 2004/107/EC დირექტივის - „ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანი, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, ნიკელი და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები“** შესაბამისად. ტექნიკურ რეგლამენტში „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ძალაში 2018 წლის 1 აგვისტოდან შევიდა, განისაზღვრა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმები, მათი ტიპები და ჩამონათვალი, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს საზოგადოების ჯანმრთელობას და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების პრევენციას და/ან შერბილებას. 2019 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ მეორე მოსმენით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები დაარეგულირებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგსა და მართვას, მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების და ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის მომზადებას და საზოგადოებისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომას;
- 2018 წლის ივნისში „საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების მეშვეობით საქართველომ თავისი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანა ევროპლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 17 ივნისის 2008/56/EC დირექტივასთან, რომელიც ეხება საზღვაო გარემოს დაცვის პოლიტიკის სფეროში ერთობლივი ქმედებისთვის საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნას.
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი მომზადდა „ზოგიერთი სახელმწიფო და კერძო პროექტის გარემოზე ზემოქმედების

შეფასების შესახებ“ ევროპლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის 2011/92/EU დირექტივის და „გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ ევროპლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 27 ივნისის 2001/42/EC დირექტივის შესაბამისად.

- საქართველოს კანონმდებლობის „ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის შემცირების შესახებ“ 1999 წლის 26 აპრილის 1999/32/EC დირექტივასთან (შესწორებულია 1882/2003 (EC) რეგულაციისა და 2005/33/EC დირექტივის საფუძველზე) დაახლოების მიზნით, საქართველო მთავრობამ 2017 წლის 25 მაისს მიიღო ტექნიკური რეგლამენტი ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესახებ.

არ შესრულებულა: ასოცირების შესახებ შეთანხმებით თავდაპირველად დაწესებული გრაფიკი არ შესრულდა რამდენიმე დირექტივის შემთხვევაში:

- „ველური ფრინველების კონსერვაციის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 30 ნოემბრის 2009/147/EC დირექტივისა და „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნის და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ საბჭოს 1992 წლის 21 მაისის 92/43/EEC დირექტივის (შესწორებულია 97/62/EC, 2006/105/EC დირექტივის და (EC) No. 1882/2003 რეგულაციის საფუძველზე) შესაბამისად ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ კანონის მიღება საქართველოს ხელისუფლებამ ასოცირების შესახებ შეთანხმებაში დადგენილი გრაფიკისგან მნიშვნელოვანი ჩამორჩენით, 2019 წლისთვის დაგეგმა. კანონი, რომელიც სამინისტრომ 2019 წლის ბოლოს წარმოადგინა, თავიდან დამუშავებას საჭიროებს იმისათვის, რომ დირექტივებთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი. შეტანილი უნდა იქნეს ახალი დებულებები, რომლებიც პასუხისმგებელ უწყებებს ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობას მისცემს.
- მიუხედავად იმისა, რომ Birdlife International-ის მხარდაჭერით მოხდა ფრინველთა სახეობების საბინადრო განსაუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი 32 დაცული ტერიტორიის ინდენტიფიცირება, საქართველოს კანონმდებლობით ეს ტერიტორიები მაინც არ არის დაცული „გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ დირექტივის“ მოთხოვნების შესაბამისად;

- **„ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნის და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ დირექტივის მე-4 პუნქტის შესაბამისად მურმუხტის ქსელის ტერიტორიების აღრიცხვა და განსამღვრა** განრიგს ჩამორჩება. 2019 წლის დეკემბერში საქართველო ბერნის კონვენციის მუდმივი კომისიის მიერ *მურმუხტის ქსელის ტერიტორიების* ოფიციალურ ნუსხაში 12 ტერიტორიის (რომლებიც უკვე შეთავაზებული იყო) შეტანის წინააღმდეგ წავიდა. კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, ქვეყანამ საქართველოს მურმუხტის ქსელის ადეკვატურობა ხელახლა უნდა შეაფასოს შემოთავაზებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საბოლოო ცვლილებების გათვალისწინებით. ამ პერიოდში მიმდინარეობს დაშბაშის კანიონში მინის ხიდისა და ცაში დაკიდებული ბარის და კვერნაკში ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ წინადადებების მომზადება.
- ასოცირების შესახებ შეთანხმების მოკლევადიანი პრიორიტეტი - გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის შემუშავება და მიღება - არ შესრულებულა, მუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი პირველად 2018 წლის ბაფხულში იქნა წარდგენილი. გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად და გამოსასწორებლად კანონი ხელახლა დანერგავს პრინციპს „დაზიანებული იხდის“ **„გარემოსთვის ზიანის პრევენციისა და გამოსწორების გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის 2004/35/EC დირექტივის შესაბამისად;**
- **„სამრეწველო ემისიების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 24 ნოემბრის 2010/75/EC დირექტივის შესაბამისად** შემუშავებული კანონმდებლობა 2018 წლის სექტემბრამდე უნდა ყოფილიყო მიღებული. კანონპროექტი პირველად 2019 წლის ბაფხულზე გამოქვეყნდა, თუმცა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული პარლამენტში წარსადგენად.
- **„წყლის პოლიტიკის სფეროში ერთობლივი ქმედებისათვის საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 23 ოქტომბრის 2000/60/EC დირექტივასთან (შესწორებულია №2455/2001/EC გადაწყვეტილებით)** დაახლოების მიზნით, წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონი ასოცირების შესახებ შეთანხმებაში დაწესებული გრაფიკის მიხედვით 2018 წლისათვის უნდა მიეღოთ, თუმცა ამ კანონის სამთავრობო ინსტიტუტებთან შეთანხმების პროცესი ჯერ კიდევ

მიმდინარეობს. გარდა ამისა, რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა (როგორც სასმელი წყლის, ურბანული ჩამდინარე წყლების მართვის და ა.შ. სტანდარტები), რომლებიც შემუშავდა „ურბანული ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ“ 1991 წლის 21 მაისის 91/271/EEC დირექტივასთან (შესწორებულია 98/15/EC დირექტივით და (EC) № 1882/2003 რეგულაციით) და „სასმელი წყლის ხარისხის შესახებ“ 1998 წლის 3 ნოემბრის 98/83/EC დირექტივასთან (შესწორებულია №1882/2003 (EC) რეგულაციით) კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, გადავადებულია და არ არის მიღებული.

- საქართველოს მთავრობამ ვერ შეასრულა სახიფათო სამრეწველო ობიექტებზე ინტეგრირებული ზედამხედველობის სისტემის დაარსების შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი შემუშავდა ევროკავშირის SEVESO-III დირექტივის შესაბამისად („სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ავარიების საფრთხეების კონტროლის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012/18/EU დირექტივა, რომლითაც მოხდა საბჭოს 96/82/EC დირექტივის შესწორება, შემდეგ კი ანულირება) და გამოქვეყნდა განსახილველად.
- საქართველოს მთავრობას არ მიუღია სახიფათო სამრეწველო ობიექტებზე ინტეგრირებული ზედამხედველობის სისტემის დაარსების შესახებ კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის პროექტი შემუშავდა ევროკავშირის SEVESO III დირექტივის შესაბამისად („სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ავარიების საფრთხეების კონტროლის შესახებ“ საბჭოს 1996 წლის 9 დეკემბრის 96/82/EC დირექტივა) და გამოქვეყნდა განსახილველად.
- კანონპროექტი, რომელიც „მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის 2006/21/EC დირექტივის შესაბამისად არეგულირებს მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვას, არც მომზადებულა და არც გამოქვეყნებულა.
- მზადდება მთავრობის მე-60 და 65-ე დადგენილებების (15.01.2014) ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს „საწვავის საწყობებიდან და ტერმინალებიდან ბენზინგასამართ სადგურებზე საწვა-

ვის განაწილების შედეგად გამოწვეული აქროლადი ნაერთების გაფრქვევების შესახებ დირექტივასთან“ შესაბამისობის მიღწევას. თუმცა ცვლილებები ჯერ არ არის მიღებული.

- „ზოგიერთ საღებავში, ლაკსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაღების პროდუქციაში ორგანული გამხსნელების გამოყენებით გამოწვეული აქროლადი ნაერთების გაფრქვევების შემცირების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის 2004/42/EC დირექტივის შესაბამისი რეგლამენტი საბოლოო სახით უნდა ჩამოყალიბდეს და მიღებული იქნეს.

4. მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების რატიფიცირებისა და იმპლემენტაციის განრიგის გაწერა, რომელშიც შედის ევროპისთვის გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE) ეგიდით მიღებული ტრანსსასაზღვრო წყლებისა და საერთაშორისო ტბების გამოყენებისა და დაცვის შესახებ კონვენცია, და აგრეთვე ინდუსტრიული შემთხვევების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ კონვენცია. ესპოოს კონვენციისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ მისი ოქმის მხარედ გახდომისთვის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოების წინ წაწევა.

შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

არ შესრულებულა:

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ტრანსსასაზღვრო წყლებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ UNECE-ს კონვენციის მიღების პროცესის დაწყებას სამინისტრო გეგმავს მხოლოდ 2020 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ წყლის რესურსების კანონპროექტის მიღების შემდეგ (იხ. ზემოთ).
- რაც შეეხება ესპოოს (Espoo) კონვენციას და მის ოქმს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ტრანსსასაზღვრო

ღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული დებულებები საქართველოს მიერ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ ამოქმედდება. თუმცა, როდის გეგმავს მთავრობა ამ ქმედების განხორციელებას, დაზუსტებული არ არის.

კლიმატის ცვლილება

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

1. ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი დანართების მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის აქტებთან და საერთაშორისო აქტებთან.

შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: საქართველომ წარმატებით შეასრულა 2018 წლისათვის აღებული ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა 2013 წლის საბაზისო დონეებთან შედარებით ჰიდრო-ქლორო-ფლუორო-კარბონების (HCFCs) მოხმარების 25%-ით შემცირებას „ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) № 1005/2009 რეგულაციის შესაბამისად. 2020 წლისთვის საქართველომ შესაძლოა მიაღწიოს 35%-იან შემცირებას, რადგან კანონმდებლობაში უკვე ინტეგრირებულია ევროკავშირის რეგულაციის არაერთი მოთხოვნა. მონრეალის ოქმის კიგალის შესწორების რატიფიცირების მიზნით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი და ჰიდრო-ფლუორო-კარბონების (HFC) შემცირების მიზნით ღონისძიებების ორგანიზება.

არ შესრულებულა: თუმცა (EC) №842/2006 რეგულაციასთან სრული შესაბამისობის მისაღწევად საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს ზოგიერთი ფტორირებული სათბურის აირის შესახებ სამართლებრივი აქტები. გარდა ამისა, საქართველომ შეიმუშავა, მაგ-

რამ ჯერ არ მიუღია ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონის ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ „გადამუშავების, ხელახალი გამოყენების, რეციკლირების და ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების გაჟონვის მონიტორინგის შესახებ“ (EC) №1005/2009 რეგულაციის მოთხოვნებთან დაახლოებას.

2. ეროვნულად განსაზღვრული მხარდაჭერის (NDC) შესახებ დოკუმენტის განახლებული ვერსიის შემუშავება.

შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა: ეროვნულად განსაზღვრული მხარდაჭერის (NDC) შესახებ დოკუმენტის განახლებული ვერსია, მთელი რიგი თავებისა და სქემების და ასევე მიზნების ჩათვლით, დასრულების პროცესშია. დოკუმენტი სავარაუდოდ 2020 წლის მარტში წარედგინება გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის სამდივნოს (UNFCCC).

3. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული აქტივობების განვრცობა სექტორულ პოლიტიკასა და ღონისძიებებში და სხვადასხვა ორგანოების შესაძლებლობათა გაძლიერება აღნიშნულ სექტორებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული აქტივობის განსახორციელებლად.

შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

ნაწილობრივ შესრულდა:

- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმის „კლიმატი 2021-2030“ შემუშავება მნიშვნელოვნად ჩამორჩება დადგენილ გრაფიკს, მხოლოდ რამდენიმე თავია დასრულებული.

4. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს გამჭვირვალობის მექანიზმის გაძლიერება, კერძოდ, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკური აქტივობის, ზომებისა და სათბურის აირის გამოცემასთან მიმართებით ზედამხედველობისა და ანგარიშგების მტკიცე ეროვნული სისტემის მეშვეობით, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის მოდელს.

შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

შესრულდა:

- 2019 წელს საქართველომ გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის სამდივნოს (UNFCCC) წარუდგინა ორწლიანი განახლებული ანგარიში. ანგარიშში განხილულია კლიმატის ცვლილების პროცესი, რაც მოიცავს 2014-2015 წლებში სათბურის აირების ემისიებისა და შთანთქმების რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს წყაროებისა და მრეწველობის დარგების მიხედვით. ანგარიშში წარმოდგენილია იმ ძირითადი ეკონომიკური სექტორების ანალიზიც, რომლებიც ხელს უწყობენ სათბურის აირების ემისიებს ქვეყანაში, და ჩამოყალიბებულია გაზომვის, ანგარიშგებისა და გადამოწმების ეროვნული სისტემა.
- გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის სამდივნოს (UNFCCC) წარუდგინა 1990-2015 წლების სათბურის აირის ინვენტარიზაციის ანგარიშიც, რომელშიც მოცემულია მიმდინარე პერიოდში ადგილობრივი ემისიების შეფასება.
- კომუნიკაციის მეოთხე ეროვნული ანგარიშის მომზადების პროცესი დადგენილი გრაფიკის თანახმად მიმდინარეობს.
- გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დახმარებით გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) და რეგიონულმა გარემოსდაცვითმა ცენტრმა (REC) დაიწყო საქართველოს ინტეგრირებული გამჭვირვალობის ჩარჩოს შემუშავება პარიზის შეთანხმების განხორციელებისთვის, რაც ხელს შეუწყობს კლიმატის საკითხებთან დაკავშირებული მონაცემების მართვის სისტემის დანერგვას და გამჭვირვალობის ჩარჩოს მოთხოვნების გაძლიერებას.

დოკუმენტს თან ახლავს სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია ადგილობრივი ემისიების ტენდენციები 25-წლიანი პერიოდისთვის, სათბურის აირების ემისიების შემცირებისათვის განხორციელებული შემარბილებელი ზომები, მიღებული მხარდაჭერა და პარიზის შეთანხმების განხორციელებაში ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებული საჭიროებები.

5. საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი, გრძელვადიანი სათბურის აირის გამოცემის დაბალი ოდენობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

შეფასება

განხორციელდა	ნაწილობრივ განხორციელდა	არ განხორციელებულა

არ შესრულებულა:

- 2050 წლისათვის გამონაბოლქვის დაბალი მაჩვენებლის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა არ დაწყებულა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სტრატეგია მომზადდება პროექტის EU4Climate ფარგლებში 2020 წელს.
- 2017 წელს მომზადდა და საბოლოო სახე მიეცა „გამონაბოლქვის დაბალი მაჩვენებლის განვითარების სტრატეგიას“ - ეს ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული მოკლევადიანი პრიორიტეტია, მაგრამ მთავრობას ის ჯერ არ მიუღია.

მართლმსაჯულება

სოფიო ასათიანი საქართველოს ღია საზოგადოების ფონდს შეუერთდა 2016 წლის სექტემბერში. იგი მუშაობს ადამიანის უფლებების პროგრამაში და კოორდინირებს უწევს პროექტს – „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერა“. საქართველოს ღია საზოგადოების ფონდში მუშაობის დაწყებამდე სოფიო იყო სამართლებრივი ექსპერტი ევროკავშირის დაფინანსებულ პროექტში „საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერა“ და წარმოადგენდა ომბუდსმენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე. მას მიღებული აქვს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრის ხარისხი და სამართლის მაგისტრის ხარისხი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში.

ანტიკორუფციული პოლიტიკა

ერეკლე ურუშაძე პროგრამის მენეჯერია „საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოში“ და ხელმძღვანელობს ორგანიზაციის კვლევით და ადვოკატირების მუშაობას ანტიკორუფციული პოლიტიკისა და რეფორმების სფეროში. 2009 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოში“ მუშაობის დაწყებიდან იგი წამყვან როლს ასრულებდა ეროვნული ანტიკორუფციული სისტემების შეფასებების (საქართველოს ძირითადი ინსტიტუტების საქმიანობის მიმოხილვა) მომზადებაში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“ მუშაობის დაწყებამდე ბ-ნი ურუშაძე მუშაობდა აშშ-ის ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტში, BBC მონიტორინგის სამსახურში და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტში. მას აქვს მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში.

თანასწორი მოპყრობა

ბაბუცა პატარაია ქალთა ორგანიზაცია „საფარის“ დირექტორია და აქტიურად არის ჩართული საქართველოს ქალთა მოძრაობაში. იგი თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან როგორც ადგილობრივი ექსპერტი ქალთა საკითხებში და ადამიანის უფლებებზე, ქალთა უფლებებსა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობაზე ლექციებს კითხულობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მას მიღებული აქვს სამართლის მაგისტრის ხარისხი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ბავშვთა უფლებების დაცვა

ანა აბაშიძე ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარეა. იგი შვიდი წლის განმავლობაში მუშაობდა გაეროს ქალთა ორგანიზაციაში და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. იგი ტრენინგებს უტარებს პრაქტიკოს იურისტებს საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის სოციალური ქარტიის (შეცვლილი სახით) გამოყენებასთან დაკავშირებით. ქ-ნი აბაშიძე ავტორია ადამიანის უფლებების მონიტორინგის შესახებ რამდენიმე ანგარიშისა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამისად ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ პუბლიკაციებისა. მას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში - სამართლის მაგისტრის ხარისხი.

ანა არგანაშვილი ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ აღმასრულებელი დირექტორია. იგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სოციალური ინტეგრაციისა და რეაბილიტაციის სფეროში 2003 წლიდან მუშაობს. სახალხო დამცველის აპარატში შვიდი წლის განმავლობაში ედგა სათავეში გედნერული თანასწორობის დეპარტამენტს და ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების ცენტრებს. გარდა ამისა, ქ-ნი არგანაშვილი ორი წლის განმავლობაში მუშაობდა „იუნისეფის“ პროექტში, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე იყო მიმართული. 2009 წელს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების სფეროში თავისი წვლილისათვის, მან მოიპოვა კოალიციის „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ – შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის – მხრიდან აღიარება. იგი ავტორია მრავალი კვლევისა და ანგარიშისა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ქალებისა და ბავშვების უფლებების შესახებ. ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები შრომით თერაპიაში მან ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, ხოლო მაგისტრის ხარისხი სამართალში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროფესიული კავშირების უფლებები და ძირითადი შრომითი სტანდარტები

კოტე ერისთავი “ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის” (EMC) დირექტორთა საბჭოს წევრია და სხვა პროგრამების დირექტორებთან ერთად, ხელმძღვანელობს ორგანიზაციას. ამასთან, ის უშუალოდ პასუხისმგებელია სოციალური პოლიტიკის პროგრამის მართვასა და ეფექტიან მუშაობაზე. პროგრამის მიზანია დასაქმებულების, უსახლკაროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური და ეკონომიკური ჩაგვრისა თუ გარიყულობის ასპექტების გამოვლენა, მათი მიზეზების იდენტიფიცირება და ადამიანის ღირსებასა და თანასწორობაზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის შექმნის და გაძლიერების ხელშეწყობა.

ბარემო და კლიმატის ცვლილება

მანანა ქოჩლაძე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკების დამკვირვებელთა ქსელის კოორდინატორია ევროკავშირის სამეზობლო რეგიონში. ასევე არის ადგილობრივი გარემოსდაცვითი ორგანიზაციის – „მწვანე ალტერნატივა“- დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. 2008-2010 წლებში იყო ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის სახელმძღვანელო საბჭოს წევრი „ევროპის საინვესტიციო ბანკის საგარემო მანდატის შუალედური გადახედვისთვის“. მანანა ქოჩლაძემ 2004 წელს გოლდმანის გარემოსდაცვითი პრიზი მიიღო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კამპანიისთვის. განათლებით ბიოლოგია. არის გარემოსდაცვის და ენერგეტიკის საკითხებზე არაერთი ანგარიშის ავტორი და თანაავტორი.

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“

ტელ: +995 32 2 25 04 63

ფაქსი: +995 32 2 29 10 52

ელ.ფოსტა: contact@osgf.ge; osgf@osgf.ge

ვებგვერდი: www.osgf.ge